საკითო ბაჯები

№12 (651)
ოთხშაბათი
6 აპრილი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ოდრაშეხი

არც უკრაინის მოქალაქე სააკაშვილის, არც ზელენსკის, არც გადაგვარებული არა-ხამიას, არც დანილოვის, არც რომელიმე სახელმწიფოს ელჩის, არც აშშ-ის კონგრე-სის, ან ევროკავშირის საქმე არ არის, საქარ-თველო სანქციებს შეუერთდეს თუ არ შეუ-ერთდეს, საქართველომ ომი დაიწყოს თუ არ დაიწყოს.

ჩვენ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ვართ და ქართველი ხალხი, მის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად, თვითონ გადაწყვეტს, როდის იომოს, ვის ეომოს და ვის დაუზავდეს.

დემურ გიორგელიძე:
ეს დაპირისპირება უკრაინისთვის ძალიან ცუდად დამთავრდება

გელა ზედელაშვილი:
ქართველებს უნდა გვრცხვენოდეს თურმე, რომ რუსულ ბომბებს თავს არ ვუშვერთ და სხვების მაგივრად არ ვიხოცებით

მსოფლიოს ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი ემუქრება

მამა ბასილი: „ჩემო ერო, ნუ დაბრკოლდები, რამეთუ ცხოვნების გზა სიძნელეებთან ჭიდილია“

მერაბ შათირიშვილი:
მითების მსხვრევის ჟამი

სააკაშვილის „ადიუტანტკა“
პავლიკა მოროზოვა

ასტრალში გასული ბატონი ხუხას ხილვები

სამშობლო უნდა იცნობდეს თავის ფარისევლებს!

მომავლის ისტორია

გინდა იყო ბედნიერი? გახდი დანომრილი მომთაბარე მონა!

ლეგენდარული ქალბატონები, რომელთა გამოც ომები დაიწყო

„საკითო ბაჯები“ – ბაჯები მოაჯირვნე მკითხველისთვის

ოლრაშები

არც უკრაინის მოქალაქე სააკაშვილის, არც ზელენსკის, არც გადაგვარებული არახამიას, არც დანილოვის, არც რომელიმე სახელმწიფოს ელჩის, არც აშშ-ის კონგრესის, ან ევროკავშირის საქმე არ არის, საქართველო სანქციებს შეუერთდეს თუ არ შეუერთდეს, საქართველომ ომი დაიწყოს თუ არ დაიწყოს.

ჩვენ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ვართ და ქართველი ხალხი, მის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად, თვითონ გადაწყვეტს, როდის იომოს, ვის ეომოს და ვის დაუზავდეს.

ვახტანგ ხარჩილავა

ჩვენმა კონფიდენციალურმა წყარომ გვიამბო: უკრაინელებმა სტამბოლის შეხვედრაზე როგორც კი ნეიტრალიტეტზე და რუსებთან შეთანხმების რამდენიმე პუნქტზე ჩამოაგდეს სიტყვა, „მთავარი უკრაინელი“ — სააკაშვილი გაცოფდა თურმე: რა შერიგება, რა დაზავება, რა ნეიტრალიტეტი — ხომ არ გაგიჟდა ეს ზელენსკი? რუსეთთან ომის შეწყვეტაზე ფიქრიც კი ღალატია. რუსეთთან ბოლომდე უნდა ვიომოთ და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავნებდეთ. მთელი უკრაინა რომ გაწყდეს, მე ვიქნები ის უკანასკნელი უკრაინელი, ვინც უკან არ დაიხევს და რუსებს ბრძოლის ველზე ხმალდახმალ შეებმება. სასწრაფოდ შეიკრიბეთ „ნაცმოძრაობის“ ყველაზე აქტიური წევრები, მაქარაშვილსაც დაუძახეთ, შეადგინეთ წერილი და სასწრაფოდ გაუგზავნეთ ზელენსკის. მაგან თუ ახლა რუსებთან ომი შეწყვიტა, დავიღუპებით — მე ხომ სამუდამოდ ჩამალპობენ ციხეში, მაგრამ თქვენც ვერასოდეს ვერ მოხვალთ ხელისუფლებაში. ამ ომის იმედი მქონდა, ეს ომია ჩვენი ხსნა და საშველი, ამდენს ვერ ხვდებით? რას მიშვრება ეს არახამია, სამუდამო ძმობას და მეგობრობას რომ მეფიცებოდა, ახლა კი რუსებთან შესარიგებლად რომ დარბის? სასწრაფოდ შეადგინეთ წერილი, დროს ნუ კარგავთ, ხვალვე მოუწოდეთ ხალხს, ქუჩაში გამოვიდნენ და კატეგორიულად მოითხოვონ, რომ უკრაინამ არავითარ შემთხვევაში არ შეწყვიტოს რუსეთთან ომი! — ასეთი ბრძანება გაუცია თურმე სააკაშვილს ციხის საკნიდან.

თავს ვერ დავდებთ იმის სამტკიცებლად, მართლა თქვა თუ არა სააკაშვილმა ის, რაც ჩვენმა წყარომ გვიამბო, თუმცა სასამართლო სხდომებზე გაკეთებულ მის განცხადებებს თუ გავიხსენებთ, ადვილი დასაჯერებელია, რომ იტყოდა...

•

მსოფლიოში, ალბათ, მრავლად არიან ისეთი სახელმწიფოები, პოლიტიკოსები, პოლიტიკური ორგანიზაციები, საბანკო სექტორის წარმომადგენლები, ბიზნესმენები, ბიზნესჯგუფები, რომლებსაც ძალიან უნდათ, რუსეთ-უკრაინის ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდეს და ორ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ სახელმწიფოს შორის დაზავება და შეთანხმება არ შედგეს.

სხვა მრავალ მიზეზთა შორის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ზემოთჩამოთვლილი სუბიექტები (და კიდევ სხვა მრავალნი) რუსეთ-უკრაინის ომით კოლოსალურ ფულს აკეთებენ და უზარმაზარ მოგებას ნახულობენ.

ომი ისეთი მანქანაა, რომელსაც ორი ფუნქცია, ორი „განყოფილება“ აქვს — ერთი ხორცსაკეპი, მეორე — ფულის საჭრელი, ამ ორ „განყოფილებას“ შორის კი პირდაპირი კავშირია — თუ ხორცსაკეპს ნედლეული გაუთავდება, მეორე „განყოფილება“ ავტომატურად ჩერდება.

აი, ამ მეორე „განყოფილებასაა“, რომ ვერ ელევიან ომში მილიარდების კეთებაში დაოსტატებული სვავები, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ადამიანების ხორცითა და სისხლით რომ ვერ გაძღნენ და პლანეტა ლამის არის, ერთ დიდ სასაკლაოდ აქციონ.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ რუსეთ-უკრაინის ომის გაგრძელებით ბევრი ვინმეა დაინტერესებული, მათ შორის არის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოდან, რომელსაც, ალბათ, ყველაზე მეტად არ უნდა, ეს ომი მალე დასრულდეს და თანაც დასრულდეს ისე, რომ მხარეებს შორის ისეთი შეთანხმება იქნას მიღწეული, რომელიც დიდი ხნით გამორიცხავს ამ კონფლიქტის ხელახლა გაღვივების შესაძლებლობას.

„ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები ცდას არ აკლებენ, რომ ჩვენი ქვეყანაც ამ კოშმარულ ომში იქნას ჩათრეული, რომ რუსეთის წინააღმდეგ საქართველოდან მეორე ფრონტი გაიხსნას.

„ნაცმოძრაობას“ სულ არ ანაღვლებს ის ამბავი, რომ ამ მეორე ფრონტის გახსნას, შეიძლება, ქართული სახელმწიფო შეეწიროს და აქ იმაზე უარესი ტრაგედია დატრიალდეს, რაც უკრაინაში ხდება.

„ნაცმოძრაობისთვის“ საქართველო არასოდეს ყოფილა სამშობლო, რომელიც სულით ხორცამდე უნდა გიყვარდეს და თავდადებით უნდა ემსახურო.

ნაცები ამ ქვეყნას უყურებენ, როგორც საკუთარი პოლიტიკური ინტერესების და ეგოისტურ-მეშჩანური ინსტინქტების დაკმაყოფილებისთვის ხელსაყრელ ასპარეზს, როგორც აღებ--მიცემობის საგანს, რომლითაც შეიძლება სარფიანად ივაჭრო, თუ მყიდველი გამოუჩნდა, ტერიტორიის ნაწილი გაყიდო, გააჩუქო, მტერს და აგრესორს ჩაუგდო ხელთ სტრატეგიული ობიექტები, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული დარგები და ა. შ. და ა. შ.

როგორც იტყვიან, ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოსულმა ნაცებმა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მილიონები და მილიარდები იშოვეს ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს ძარცვისა და ყვლეფის ხარჯზე.

მათ, ცხადია, ისევ ენატრებათ იმ ნეტარ დროში დაბრუნება, მაგრამ ხელისუფლებაში დაბრუნების გარეშე ამ ოცნების აღსრულება შეუძლებელია.

ამიტომაც ცდილობენ ნაცები, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მოექცნენ ხელისუფლების სათავეში, თუმცა ისიც კარგად იციან, რომ დემოკრატიული გზით, არჩევნების გზით, ამ საწადელს ვერასდროს მიაღწევენ — ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა არასოდეს დაუჭერს მხარს ამ სადისტებისა და ყაჩაღების უკან მობრუნებას.

ამიტომაც რჩება ერთადერთი შანსი — არეულობა, დესტაბილიზაცია, სამოქალაქო დაპირისპირება, სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოშლა, რისი მიღწევის ძალა თავად ნაციონალებს არ აქვთ, მაგრამ თუ საქართველო რუსეთთან ომში ჩაებმება, ეს მიზანი ადვილად განხორციელებადი ხდება.

აქედან გამომდინარეობს „ნაცმოძრაობის“ ისტერიკამდე მისული მცდელობა, როგორმე საქართველოშიც „გაიხსნას“ რუსეთ-უკრაინის ომის რეგიონული „ფილიალი“.

ნაციონალებმა შესანიშნავად იციან, რომ ომის შემთხვევაში საქართველო, რომლის ტერიტორიაზეც კარგა ხანია უკვე რუსული ჯარი დგას და ქვეყანა, ფაქტობრივად, ალყაშია მოქცეული, უმოკლეს დროში განადგურდება და ქართული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიას სრულად გააკონტროლებენ რუსები და საქართველოსაც ზუსტად იმ მოთხოვნებს წაუყენებენ, რასაც დღეს უკრაინისგან ითხოვენ — ნატოში გაწევრიანებაზე უარის თქმა, სამხედრო ნეიტრალიტეტი, კონსტიტუციიდან იმ მუხლის ამოღება, სადაც საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების ურყევი გადაწყვეტილება აქვს დაფიქსირებული.

დიახ, იციან ეს ნაციონალებმა და სწორედ ამიტომ უნდათ, საქართველოს ტერიტორიაზე ომი გაჩაღდეს, რადგან ეს ომი, პირველ ყოვლისა, რუსეთის წისქვილზე დაასხამს წყალს და იმ ამოცანა-მაქსიმუმის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს, რისკენაც რუსები დიდი ხანია მიისწრაფვიან.

რა გამოდის ამ ჩვენი საუბრიდან?

რა გამოდის და ის, რომ ნაციონალები რუსეთის დაკვეთას ასრულებენ და იმ მიზეზებს და ამოცანებს ახმოვანებენ, რაც რუსეთის ინტერესებში შედის.

მერე რა, რომ „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტები ხმამაღლა ვითომ უკრაინას და უკრაინელებს უჭერენ მხარს, მერე რა, რომ „ნაცმოძრაობა“ ვითომ რუსეთის დაუძინებელ მტრად აცხადებს თავს და მეორე ფრონტის გახსნა რუსეთისთვის იმიტომ სურს, რომ უკრაინას შეეხიდოს გამარჯვებაში და, პარალელურად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს.

ეს ყველაფერი ცარიელი სიტყვებია, რომლებსაც არავითარი ფასი, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მთავარი სიტყვები კი არა, ის კონკრეტული საქმეა, ის კონკრეტული შედეგია, რაც ამ პათეტიკურ სიტყვებს უნდა მოჰყვეს.

უზნეო და ყოველგვარი მორალისგან დაცლილი ნაციონალებისთვის სიტყვა არაფერს ნიშნავს. სიტყვა მათთვის მათი ბნელი და ბოროტი ზრახვების შესანიღბი და შესაფუთი მასალაა მხოლოდ, რომლითაც ადამიანებს ატყუებენ და აცდუნებენ.

ცალკე განხილვის საგანია პიარტექნოლოგიები, რომლებსაც ნაცები ადამიანების ტვინების გამოსარეცხად და, უკაცრავად გამოთქმაზე, მათი გამოდებილება-გამოთაყვანებისთვის იყენებენ — როცა ადამიანი იჯერებს, რომ



შავი თეთრია, თეთრი კი ცისფერი, ან სულაც რუხი.

მათ შეუძლიათ, თავიანთი ჯიბის ტელევიზიების და იქ მომუშავე წინასწარ დატრენინგებული ჟურნალისტების საშუალებით წარუმატებლობა წარმატებად გაასაღონ, დამარცხება გამარჯვებად და მერე ეს „გამარჯვება“ პომპეზურად იზეიმონ, როგორც ეს 2008 წლის 12 აგვისტოს გააკეთეს.

ნაციონალები ძალიან ჰგვანან ფაშისტებს და თითქმის იგივე პიარტექნოლოგიებს იყენებენ მასების გასაბითურებლად, რასაც ისინი იყენებდნენ, ხოლო ის „სეპარატისტული ავტონომია“, რომელშიც „ნაცმოძრაობის“ სექტა ქართველი საზოგადოებისთან განცალკევებულად ცხოვრობს, ქართული „ჩრდილოეთი კორეაა“, სიმაღლეში გაზრდილი ბელადით — ქართველი კიმ ჩენ ინით — სააკაშვილით.

დააკვირდით, როგორ აშუქებენ „ნაცმოძრაობის“ ჯიბის ტელევიზიები რუსეთ-უკრაინის ომის ამბებს.

ამ ტელევიზიებს თუ დავიჯერებთ, რუსეთი და მისი სამხედრო მანქანა უკვე განადგურებულია, უკრაინა კი ტრიუმფალურად იმარჯვებს, ხოლო ამ მტკნარ სიცრუეს ვინც არ დაიჯერებს, თურმე პუტინის მხარდამჭერი და მისი ფარული მოკავშირეა.

ხომ საინტერესოა, რა მიზანი ამოძრავებთ ნაცებს, ამას რომ აკეთებენ?

ნაცები ამ საინფორმაციო ჟონგლიორობით ორი, ორი კი არა, სამი კურდღლის ერთად დაჭერას ცდილობენ.

I — რუსეთის ვირტუალური „დამარცხების“ პროპაგანდით ასიამოვნონ და აამონ დასავლეთს, რომელიც სერიოზულ კონფრონტაციაშია რუსეთთან.

II — თავისი ერთგულება და მხარდაჭერა გამოუცხადონ უკრაინელ ხალხს, უფრო ზუსტად, უკრაინის ხელისუფლებას, რომელსაც ბევრი ყოფილი ნაცი ჰყავს შეკედლებული და მაღალ თანამდებობაზე გამწესებული.

III — დაარწმუნონ ქართველი ხალხი, რომ რუსეთი უკვე დაუძლურებული და დასუსტებულია და სწორედ ახლა არის შესაფერისი მომენტი, საქართველოში მეორე ფრონტი გავუხსნათ რუს ოკუპანტებს და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღვადგინოთ.

დაახლოებით იგივეს ეუბნებოდნენ ნაცები ქართველ ხალხს 2008 წლის აგვისტოს ომის წინა პერიოდებში — რუსული არმია დემორალიზებულია, რუსების სამხედრო ტექნიკა მოძველებულია, ჯართია, საქართველოს კი უახლესი ტექნიკით აღჭურვილი უძლეველი არმია ჰყავს, რომელიც ნებისმიერ მტერს კუდით ქვას ასროლინებსო.

ახლაც იგივე ზღაპარს უყვებიან ნაცები ქართველ ხალხს და ახლაც იმავე ხერხებით ცდილობენ, დაარწმუნონ საქართველოს მოსახლეობა, რომ რუსეთი იმდენად დასუსტებულია, მისი სამხედრო მანქანა იმდენად მოშლილია, რომ ერთი ძლიერი შებერვა და რუსებს საქართველოდან კინწისკვრით გავყრით.

რატომ აკეთებენ ამას ნაცები?

იმიტომ, რომ, როცა ადამიანი დარწმუნებულია, მტერი, რომელთან საბრძოლველადაც უნდა წავიდეს, სუსტი და დაბეჩავებულია, უფრო იშიშრად, უფრო ხალისით მიდის მასთან შესარკინებლად, რადგან ეჭვიც არ ეპარება, მეტოქეს ადვილად დადებს ბეჭებზე.

ნაციონალები სწორედ ამ ფანდს მიმართავენ: მათ სურთ, ქართველი ხალხი უფრო ადვილად შეიტყუონ რუსეთთან ომში, რომელიც მათი მტკიცებით, უკვე დაჩაჩანაკებული და დაუძლურებულია და თუ მეორე ფრონტსაც გავუხსნით, საერთოდ ნაწილ-ნაწილ დაიშლება.

„ნაცმოძრაობა“ მღვდელი გაპონივით იქცევა და თავისი ხალხი შეგნებულად მიჰყავს სასაკლაოზე, რომ თავისი პოლიტიკური ინტერესები განახორციელოს.

მან იცის, რომ საქართველომ რუსეთის წინაღმდეგ ომი რომ დაიწყოს, რუსები უმოკლეს დროში დაამყარებენ სრულ კონტროლს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

„ნაცმოძრაობა“ ისევ და ისევ ფაგებულ ომში ეპატიჟება ქართველ ხალხს, ომში, რომელიც ყველამ, მათ შორის, თვით „ნაცმოძრაობამ“, ფინასწარ იცის, თუ რა კატასტროფული შედეგებით დამთავრდება საქართველოსთვის.

ამაზე დიდი ღალატი, ამაზე დიდი ზნედაცემულობა, ამაზე დიდი ამორალურობა შეიძლება არსებობდეს?

არავინ არ მოტყუვდეს — „ნაცმოძრაობას“ არც უკრაინელ ხალხზე შესტკივა გული, არც დასავლეთზე, არც საქართველოზე და ქართველ ხალხზე — ის ასრულებს რუსეთის დაკვეთას — როგორმე საქართველოს ტერიტორიაზე ისეთი პროვოკაცია ააგოროს, რომელიც რუსეთს საბაბს მისცემს, 2008 წლის აგვისტოში დაწყებული და შუა გზაზე

მიტოვებული საქმე 2022 წელს ბოლომდე მიიყვანოს.

ეს დაკვეთა „ნაცმოძრაობამ“ დღეს და გუშინ კი არა, რამდენიმე წლის წინათ მიიღო, თუმცა, მიუხედავად არაერთი მცდელობისა (ამ მცდელობებს აქ არ ჩამოვთვლი, რადგან ეს მცდელობები ძალიან კარგად არის ცნობილი საზოგადოებისთვის), მისი განხორციელება ვერ შეძლო, ახლა კი „ნაცმოძრაობის“ და მისი პარტნიორების გათვლით, ყველაზე ხელსაყრელი მომენტია, „განაჩენი“ სისრულეში იქნას მოყვანილი.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ „ნაცმოძრაობა“ დიდი ხანია კოჭს უგორებს რუსეთს, მისი ქმედებები და განცხადებები კი ერთი-ერთში ემთხვევა იმ მესიჯებს, რუსეთი რომ დროგამოშვებით გვიგზავნის ხან უშუალოდ კრემლიდან, ხან — რომელიმე მესამე მხარის მეშვეობით.

არაერთხელ გამოგვითქვამს გაკვირვება და გაოცება იმის შესახებ, თუ რატომ ვერ ხედავენ და რატომ ვერ ხვდებიან ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები, თუ რა მზაკვრულ თამაშს თამაშობს „ნაცმოძრაობა“, რომლის მოქმედებები არა მარტო საქართველოს, არამედ პირდაპირ მათ წინააღმდეგ არის მიმართული.

თუ ხედავენ და ხვდებიან, მაშინ რატომ არის ასეთი ლოიალური და ლმობიერი მათი დამოკიდებულება „ნაცმოძრაობისა“ და მისი თანამზრახველებისადმი?

ამასწინათ ევროკავშირის ქვეყნების პასიურობის გამო განაწყენებულმა ზელენსკიმ განაცხადა: როგორ დავიჯეროთ, რომ ევროპის ქვეყნებსაც რუსები მართავენო.

ზელენსკისა არ იყოს, ჩვენც როგორ დავიჯეროთ, რომ დასავლეთის ზოგიერთი წარმომადგენელი რუსეთთან საიდუმლო ალიანსშია?

არსებობს სერიოზული ეჭვი, რომ სააკაშვილი საქართველოში სპეციალური დავალებით შემოაპარეს და ამ დავალების ერთ-ერთი მთავარი პუნქტი საქართველოში არეულობის პროვოცირება იყო, თუმცა, ცნობილი მიზეზების გამო, ეს გეგმა ჩაიფუშა და სააკაშვილმა ციხეში ამოჰყო თავი, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია, სასამართლოს სხდომებიდან კვლავ პროვოკაციული და ავანტურისტული განცხადებები ეკეთებინა და მოსახლეობისთვის ხელისუფლების დამხობისკენ მოეწოდებინა.

არ ვიცი, ისეთ რა განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებს ადამიანს პატიმრის სტატუსი, რომ მას შეუძლია, ღიად და საჯაროდ მოუწოდოს მოქალაქეებს არეულობისკენ, ხელისუფლების დამხობისკენ, მერე ეს მოწოდებები პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცეს ტელევიზიებით და ამის გამო მას არავითარი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.

ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეებისგან განსხვავებით, სხვა პატიმრებსაც აქვთ ხელისუფლების დამხობის და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის ნებართვა, თუ მხოლოდ სააკაშვილს, როგორც განსაკუთრებულ პატიმარს, აქვს მინიჭებული ეს ექსკლუზიური უფლება?

იმ დანაშაულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სააკაშვილი მართლაც განსაკუთრებული პატიმარია, რომელსაც მართლაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები აქვს ჩადენილი ქვეყნის წინაშე, თუმცა ამ დანაშაულების გამო, ჯერჯერჯობით, მას პასუხს არავინ სთხოვს და ისიც აქეთ გვიტევს და გვემუქრება.

საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთას რომ ვედავებით ამ უტიფარ და თავხედ ადამიანს, იქნებ, ისიც ვკითხოთ, რატომ, რა მიზნით შემოაგზავნეს ქვეყანაში, რომელიც დიდი ხანია, მისი სამშობლო არ არის და არც არასდროს ყოფილა.

დაბოლოს, იმათ გასაგონად, ვინც საქართველოს რუსეთთან ომისკენ მოუწოდებს: არც უკრაინის მოქალაქე სააკაშვილის, არც ზელენსკის, არც გადაგვარებული არახამიას, არც დანილოვის, არც რომელიმე სახელმწიფოს ელჩის, არც აშშ-ის კონგრესის, ან ევროკავშირის საქმე არ არის, საქართველო სანქციებს შეუერთდეს თუ არ შეუერთდეს, საქართველომ ომი დაიწყოს თუ არ დაიწყოს.

ჩვენ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო ვართ და ქართველი ხალხი, მის მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან ერთად, თვითონ გადაწყვეტს, როდის იომოს, ვის ეომოს და ვის დაუზავდეს.

ქართველ ხალხს ომი არავისგან ესწავლება. მთელი მისი ისტორია ერთი უწყვეტი ომის დრამატული ისტორიაა.

რაც შეეხება რუსეთს, საქართველომ თავისი წილი ომი უკვე იომა რუსეთთან, იომა მარტომ, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული 2008 წლის აგვისტომდე, ასე რომ, რუსეთთან ომის ერთი და ორი თვის კი არა, ცხრამეტწლიანი სტაჟი გვაქვს, რაც, დღების რაოდენობაზე რომ გადავამრავლოთ, 43 კი არა, 6935 დღე გამოდის.

ჰოდა, ასეთ ქვეყანას როგორ უბედავენ მავანნი და მავანნი, ქართველებს ომის გეშინიათო.

ომის კი არ გვეშინია ჩვენ, წინასწარ წაგებისთვის განწირულ ომში არ გვინდა ვიღაც-ვიღაცების საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენონ და რუსულ ბომონს ზვარაკივით მსხვერპლად შევეწიროთ.

სადღაც წამიკითხავს: სასაკლაოზე მომუშავე ყასბებს სპეციალურად გაწვრთნილი ერკემალი ჰყავთ აყვანილი „თანამშრომლად“. მოგეხსენებათ, ცხოველებს გამძაფრებული ინსტინქტი აქვთ, რომლითაც სიკვდილის მიახლოებას გრძნობენ, მაგრამ ცხვრის ფარა იმდენად ენდობა საკუთარ წინამძღოლს, რომ ცხვრებს ინსტინქტი უჩლუნგდებათ და მორჩილად მიჰყვებიან „ბელადს“, რომელსაც ისინი უპრობლემოდ შეჰყავს სასაკლაოს ტერიტორიაზე, მეთაური იქ ტოვებს სასიკვდილოდ განწირულ „მოძმეებს“, თვითონ კი უკანა გასასვლელიდან გადის, რომ ხვალ, ზეგ ახალ პარტიას შემოუძღვეს.

როგორც ჩანს, რაღაც ძალებს ასეთ ერკემლად სააკაშვილი ჰყავთ შერჩეული, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ ცხვრის ფარა არ ვართ — ჩვენ უძველესი ცივილიზაციის და უდიდესი გამოცდილების ერი ვართ, რომელსაც სააკაშვილი და მისნაირად დაგეშილი სხვა ერკემლები სასაკლაოზე ასე ადვილად ვერ შეიტყუებენ.

...არის ასეთი სიტყვა — ოღრაშები. ნაციონალებს მიესადაგება ზედმიწევნით ეს სიტყვა და ამიტომ გამახსენდა.

ამ წერილის სათაურიც ეს იქნება — ოღრაშები!

ეს დაპირისპირება უკრაინისთვის ძალიან ცუდად დამთავრდება. მათ ყველაზე დიდი საშინელება მომავალში ელოდებათ

გვესაუბრება ანალიტიკოსი ლევან გიორხელიძე:

— ბატონო ლევან, უკვე მეორე თვეა რუსეთ-უკრაინას შორის ომი მიმდინარეობს. დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორ გესახებათ მოვლენების განვითარება?

— ცხადია, ხალხთან მიმართებაში, ეს საშინელებაა იმიტომ, რომ მილიონობით ადამიანი ამ უზარმაზარ ქვეყანაში გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა — სახეზეა დიდი მსხვერპლი, უზარმაზარი მიგრაცია და ა.შ. თუმცა, ამ ყველაფრის უკან პოლიტიკა დგას, რაც ლოკალური სულაც არ გახლავთ. დიახ, ეს არ არის რუსეთ-უკრაინას შორის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება. მიზეზები სულ სხვაა. შედეგები, გლობალურ სფეროში, პირველ რიგში კი, რუსეთსა და აშშ-ს შორის არსებულ დაპირისპირებაში უნდა ვეძებოთ. თუმცა, ისინი, ერთმანეთთან შეხებაში ყოფნას, მაქსიმალურად ერიდებიან. მე, კოლექტიურ დასავლეთზე არ ვისაუბრებ იმიტომ, რომ მას თავის გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს, რომელიც წარმოადგენს მთავარ ძალას და არა ვინმე სხვა. ასე, რომ სააშკარაოზე გამოვიდა მსოფლიო-

ში გეო-პოლიტიკური ინტერესების დაუბალანსებლობა, ახალი გარემოებები, ცვლილებები, ტენდენციები და ა.შ. არსებული სისტემა ამ ყველაფერს ვეღარ უმკლავდებოდა. ანუ, სისტემა არაეფექტურად მუშაობდა, რაც ყველას ძალიან ცუდ მომავალს უქადდა. ამიტომ, საუბედუროდ, არსებული გლობალური დაპირისპირება უკრაინაში აისახა, რაც ქვეყნის ტრაგედიაა. თუმცა, რა თქმა უნდა, უკრაინას შეეძლო ყველაფერი თავიდან აეცილებინა რომ არა ის ფუნქცია, რაც მან წლების წინ საკუთარ თავზე აიღო. ამიტომ, ეს დაპირისპირება გარდაუვალი იყო. იგი რუსეთის შესაძლო დამარცხებისთვის პლატფორმა გახდა. ჩვენ ეს მოგვწონს თუ არა, ამის შეფასებებს არ დავიწყებ. გავიხსენოთ, ბჟეზინსკის ცნობილი სტრატეგია — რუსეთის დამარცხება, მხოლოდ, უკრაინის მეშვეობით, ანუ, ამ უკანასკნელის პლაცდარმად გამოყენების მეშვეობით შეიძლებაო. ამ უდიდესმა ნაბოდვარმა 44 მილიონიან ერს უბედურების მეტი არაფერი მოუტანა.

— ზოგადად, რა შეგიძლიათ, ომის განმაპირობებელ ფაქტორებზე გვითხრათ?

— განმაპირობებელი გახლდათ ინტერესების დაუბალანსებლობა, ტენდენციები, ახალი, საკმაოდ მძლავრი პერსპექტივის მქონე ქვეყნების გაჩენა, მახინჯი ფინანსური სისტემა, სტრუქტურები და ის გლობალიზმი, რაც ძალიან ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. თუმცა, საქართველოში ყველას დაავიწყდა, რომ ეს გლობალიზმი დასავლური იდეა არ გახლდათ. დიახ, ეს არ იყო დასავლეთის განვითარების კვალობაზე ჩამოყალიბებული იდეა, არამედ ლევ ტროცკის იდეის მსგავსი, რომელსაც 100 წლის წინ არამრტო საბჭოთა კავშირში, არამედ საქართველოშიც უამრავი ადამიანი შეეწირა. როცა გავიაზრე, რომ ასი წლის წინ არსებული იდეა, დღეს, უბრალოდ, ნეოლიბერალურ ლექსიკაში იყო გახვეული და აბსოლუტურად იგივეს გვთავაზობდა, მკვეთრი პროტესტი გამოვხატე. ბოლო 20 წლის მანძილზე, ყოველი გადადგმული ნაბიჯით გამოვხატავდი, რომ ყოველივე ეს კარგს არაფერს მოიტანდა და ასეც, მოხდა.

— ბატონო ლევან, რამდენად ლეგიტიმურია რუსეთის მოთხოვნა უკრაინის ნეიტრალიტეტის შესახებ?

— ვფიქრობ, დასავლეთში თავიდანაც ასე მოიაზრებოდა — უკრაინა, ყოველგვარი სამხედრო დატვირთვის გარეშე, რუსეთსა და დასავლეთს შორის ნეიტრალური, გარდამავალი მეკავშირე უნდა ყოფილიყო. ეს გახლდათ შესანიშნავი როლი, რაც რუსეთსაც აწყობდა და არ მგონია მას მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში რაიმე პრეტენზიები გასჩენოდა. ამას ვერც გააკეთებდა იმიტომ, რომ ნეიტრალურ ქვეყანაში ეს, უკვე, ყველაფრის ზე-წარმოდგენაზე უფრო მაღალი დარღვევაა. ამიტომ, მისი მოთხოვნა — უბლოკო სტატუსის, ნეიტრალიტეტის შესახებ, წლების მანძილზე, დასავლეთმა ყურად არ იღო. ასევე, დასავლეთმა არ გაითვალისწინა მოსკოვის ბოლო მოთხოვნები. შედეგად, მოხდა ის, რაც მოხდა. აქედან გამომდინარე, რუსეთის მიერ უკრაინაში ჯარის შეყვანა მოულოდნელი სულაც არ იყო. იმიტომ, რომ რუსეთი თავიდანვე აცხადებდა: თუ მის მიერ დაყენებული პირობები არ შესრულდებოდა, მაშინ იგი უკრაინის ნეიტრალიტეტს საკუთარი სამხედრო ტექნიკური საშუალებებით მიაღწევდა.

— უკრაინა ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფოა. როგორ ფიქრობთ, რუსეთი, ამ შემთხვევაში, დამპყრობელია თუ ტერიტორიების დაბრუნება სურს?

— არ მგონია ეს მოტივი პოლიტიკაში არსებითი იყოს. მთავარი მოტივაცია გახლავთ თუ როგორ ხედავს რუსეთი საკუთარ უსაფრთხოებას. ეს ვინმეს მოსწონს თუ არა, მნიშვნელობა არ აქვს. ისევე, როგორც მნიშვნელობა არ აქვს მოსწონს თუ არა ვინმეს, როგორ უყურებს ამერიკა საკუთარ უსაფრთხოებას. ამიტომ, დღეს მსოფლიო წესრიგს დიდი სახელმწიფოები — ამერიკა, ჩინეთი და რუსეთი განსაზღვრავენ. ძლიერი ქვეყნები შემდგომ რომელიმე მხარის მიმდევრები ხდებიან. როგორც აღმოჩნდა, მიმდევრები ყველას ჰყავს და თუ ვის უფრო მეტი — ეს მალე გამოჩნდება. თუმცა, მსოფლიო რუკაზე მომხრეები და მოწინააღმდეგეები რომ დაალაგეს, აღმოჩნდა, საქმე მარტივად სულაც არ არის.

— რამდენად შესაძლებელია დრო იხელთონ და უკრაინაზე პრეტენზიები პოლონეთს, ჩეხეთს, უნგრეთსაც გაუჩნდეთ.

— ეს ამბები ისტორიულად ცნობილია — საბჭოთა კავშირის დროს სტალინის ინიციატივით უკრაინა იმ ფორმით ჩამოყალიბდა,

რომელიც ისტორიულად არასდროს არსებულა. პოლონეთში, უკვე, რამდენიმე წელია საჯარო გამოსვლები, დემონსტრაციები იმართება. მათ თავიანთი ე.წ. „გალიციისა და ლომომერიას“ დაბრუნება სურთ. იმიერკარპატები — ეს გახლავთ უნგრეთის ყოფილი ტერიტორია, ტრანსილვანია — რუმინეთის და ა.შ. მაგრამ ყოველივე მეორე მსოფლიო ომის შედეგების მიხედვით დალაგდა და არ მგონია, ამ ქვეყნებს დღევანდელი რუსეთის პირობებში შანსი ჰქონდეთ აღნიშნულ ტერიტორიებს ოდესმე დაეუფლონ. ცხადია, ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ რუსეთი ამ ომში დამარცხდება.

— რამდენიმე დღის წინ სტამბოლში გამართულ შეხვედრაზე უკრაინის მხარემ მოითხოვა: უსაფრთხოების მყარი გარანტიები ნატოს მე-5 მუხლის მსგავსი კონცეფციით, რომელიც სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში დაუყოვნებლივ იმოქმედებს. რა პერსპექტივა იკვეთება ამ კუთხით?

— არანაირი პერსპექტივა არ იკვეთება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, პოლიტიკური თვალსაზრისით, უკრაინის ამ ინიციატივის გახმაურების არანაირი საჭიროება არ იყო, მით უმეტეს, რომ ორი საათით ადრე, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, რომელიც 20 დღე არ ჩანდა, ყველაფერი ცხადად თქვა: საომარი ოპერაცია არ შეჩერდებაო. ამ განცხადებებმა, ბუნებრივია, სხვადასხვა ინტერპრეტაცია გამოიწვია. უკრაინის ხელისუფლებას, უკვე, მოლაპარაკების არანაირი შანსი აღარ დარჩა. ეს ომი სანამ ბოლომდე არ მივა, მოლაპარაკების გზით, აღარ გაჩერდება. ეს შანსი უკრაინამ 24 თებერვლამდე ან ომის დაწყებიდან პირველ დღეებში გაუშვა.

— უკრაინის მხარის წარმომადგენელმა არახამიამ, რომელსაც ქართველობის რცხვენია, ევროპული უსაფრთხოების პრობლემებზე ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ უსაფრთხოების დასაცავად არსებული ალიანსები თუ გაერთიანებები არ მუშაობს. თქვენ, რას იტყვით?

— რეალობა ასეთია: იდეოლოგიურ შტამპებში ჩაძირული, იგივე, აშშ და სხვები ზელენსკის გმირად აცხადებენ, სატელევიზიო ჩართვებს უწყობენ და მის დემაგოგიას ისმენენ, ხოლო ისეთი არასერიოზული ადამიანის განცხადება როგორიც არახამიაა სისწორეს შეესაბამება. დიახ, უსაფრთხოების შინაგანი სტრუქტურა ძალიან სუსტია იმ ფონზე, როდესაც ნახევარი ევრაზიის კონტინენტის მნიშვნელოვანი ნაწილი ტყუილშია ჩაძირული და მას შეუძლია არახამიასგან მოისმინოს ის, რაც თვითონაც მშვენივრად უნდა იცოდეს — ეს სისტემები მოშლილია და აღარ ფუნქციონირებს.

— უსაფრთხოების გარანტიებში უკრაინა ევროკავშირში სწრაფ გაწევრიანებასაც მოიაზრებს. ეს რამდენად მიღწევადია?

— გამორიცხული ამბავია, უკრაინა ვერსად ვერ გაწევრიანდება. ეს, მხოლოდ, იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ რუსეთი დამარცხდება. სხვა, არანაირი შანსი არ არსებობს. ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკრაინის ხელისუფლების სურვილები ძალიან რადიკალურად შეიცვალა. გახსოვთ, ისინი ამბობდნენ: ჩვენ რასაც ვიტყვით, ისე იქნებაო. ამ პოლიტიკამ უკრაინას უბედურების მეტი არაფერი მოუტანა. თუმცა, ყველაზე მთავარი უბედურება უკრაინას ჯერ კიდევ წინ აქვს. სულ მოკლე ხანში ეს დაპირისპირება უკრაინისთვის ძალიან ცუდად დასრულდება. მათ, ყველაზე დიდი საშინელება მომავალში ელოდებათ. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე ვთქვი: თუ უკრაინაში საომარი მოქმედებები დაიწყება, როდი ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა მთავარი სამიზნეა. ეს ყველაფერი უკრაინას გასცილდება-მეთქი. ახლა, უკვე, აშკარად ისახება, რომ ჩემი პროგნოზი გამართლდება.

— მესამე მსოფლიო ომს გულისხმობთ?

— მსოფლიო ომზე არც არის ლაპარაკი იმიტომ, რომ ბირთვულ ომში პერსპექტივა არავის აქვს. ამიტომ, ორი მთავარი ქვეყანა — რუსეთი და აშშ, პენტაგონი და რუსეთის თავდაცვის სამინისტრო 24-საათიან კავშირზე არიან, რათა ყოველგვარი შემთხვევითობა გამოირიცხოს. მსოფლიო ომი არ იქნება. ეს, არც ახლა არის, მაგრამ უზარმაზარი დანაკარგებია. ჩვენ თუ 44 მილიონი ადამიანის ტრაგედია არაფრად მიგვაჩნია და გვგონია, რომ მთელი მსოფლიო ამ

უბედურებაში უნდა ჩაიძიროს, ეს უკვე დიდი ტრაგედიაა, რაც სამწუხაროდ, უკრაინის ტრაგედიაზე არ გაჩერდება. აი, რა არის ყველაზე მთავარი, თორემ, ბირთვულ იარაღს ერთმანეთს ვერავინ დაუშენს. შეიძლება სადმე, ვინმემ ე.წ. ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს, რომელიც შედარებით მცირე ზომისაა და ლოკალური გავრცელების არეალი აქვს. ეს უფრო რეალური ჩანს იმ შემთხვევაში, თუ გაცილებით დიდი დაპირისპირება მოხდება. უკრაინაში ამის საჭიროება არ არის და არც არავინ უშვებს, რომ ეს მოხდება.

— ბატონო დემურ, ბოლო დროს გვესმის: რუსეთი მარცხდება, უკან იხევსო. ჩვენი, ოპოზიციონერი პოლიტიკოსებიც გვაიმედებენ: რუსეთი დასუსტებულია და კიდევ მეტად დასუსტდებაო. რეალობა როგორია?

— თუ ჩვენ გვინდა რეალობას ავცდეთ, ამისთვის არსებობს საქართველოს ე.წ. მეინსტრიმული, წუმპე ტელევიზიები, წუმპე წამყვანებით, წუმპე ანალიტიკოსებით, წუმპე პოლიტიკოსებით. იქ, ყველაფერი დასრულებულია. მათი გადმოცემით, დღეს ისევე იგებს უკრაინა, როგორც 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიის მერე საქართველო იგებდა. ზუსტად იგივე მეთოდებია. ამიტომ, რას ლაპარაკობენ საქართველოს ამ წუმპე ტელევიზიებში და ამ ე.წ. იდეოლოგიით გაჟღენთილი, ვითომ, მცოდნე ანალიტიკოსები, მკვლევარები, ამას ნულოვანი მნიშვნელობა აქვს. ეს არის კომუნისტებისდროინდელი იდეოლოგია, ოღონდ, უფრო მდარე ხარისხის. იმიტომ, რომ კომუნისტურ პარტიას აგიტაცია-პროპაგანდა გაცილებით მაღალ დონეზე ჰქონდა დაყენებული, ვიდრე დღეს, ამ ტელევიზიებში ხდება გარკვეულ ორიენტაციას ამოფარებული ნიღბით. ასე, რომ ამას მნიშვნელობა არ აქვს. რეალობა სხვა გახლავთ. დასავლეთშიც არის ლიბერალური მიმართულებების მედია, რომელიც მოვლენებს ნეგატიურად აშუქებს. თუმცა, დასავლეთი, განსაკუთრებით კი, აშშ, ჯერჯერობით, იმიტომაც არის ძლიერი, რომ მას განსხვავებული აზრები გააჩნია და იქ, კონსერვატულ მედიაში სულ სხვა დონის ანალიტიკა კეთდება. ჩვენ, თავის მოტყუება თუ გვინდა, საქართველოს ტელევიზიებს უნდა ვენდოთ. არცერთი ინფორმაციის 100%-ით ნდობა არ შეიძლება. ადამიანს თავი იმიტომ აქვს, რომ იფიქროს.

— 2008 წლის ომი ახსენეთ, რომელსაც ბევრი უკრაინის მოვლენებთან აიგივებს. რამდენად იდენტური მდგომარეობაა?

— ეს შეცდომაა იმიტომ, რომ 2008 წლის ომი ლოკალური მოვლენა გახლდათ. მართალია, მას გეო-პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა, მაგრამ იქ, სულ სხვა მასშტაბები იყო. ახლანდელი ვითარება კი, გამძაფრებული გეო-პოლიტიკური დაპირისპირების შედეგია. უკრაინა ამ დაპირისპირების, მხოლოდ, გამოვლენაა. დიახ, უკრაინა მთავარი სამიზნე არასდროს ყოფილა, მაგრამ დაპირისპირებისთვის მძლავრად იქნა გამოყენებული. ჩვენ, ქართველებს არ გვინდა გავიაზროთ, რა განცხადებები კეთდებოდა უკრაინაში ბოლო 8 წლის, განსაკუთრებით კი 5 წლის განმავლობაში, როგორ ემზადებოდნენ უკრაინელები დიდი ომისთვის, როგორ შექმნეს სამხედრო ნაწილები, მართლაც, ძალიან დიდი წვრთნების შედეგად, რაც სპეციალურად, რუსეთის ომისთვის მზადდებოდა. დიახ, მათ სპეციალურად ამზადებდნენ. ასე, რომ ყველაფერი სხვა კონტექსტში უნდა დავინახოთ.

— რა ელის საქართველოს რუსეთის მოგების ან პირიქით, წაგების შემთხვევაში?

— ყველაფერი ნათელია: თუ რუსეთი წააგებს, მაშინ საქართველოს ნატოში გაერთიანებენ, ევროკავშირთან დაკავშირებით, არ ვიცი რა მოხდება. ხოლო თუ მოიგებს ნატოში გაერთიანებაზე საუბარი გამორიცხულია. თავიდანვე, ასე იყო. მე, პირველად, 15 წლის წინ დავწერე, რომ უკრაინასა და საქართველოს ნატოში არავინ მიიღებდა. იცით, რატომ? — იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება იმდენად ცვლის გეო-პოლიტიკურ ლანდშაფტს, რომ ასეთი ცვლილება, შეიძლება, მხოლოდ დიდი ომის შედეგად განხორციელდეს. ასევე, ვამბობდი: საკმარისია, ამ ორი ქვეყნის ნატოში გასაწევრიანებლად ნაბიჯი გადაიდგას და დიდი ომი გარდაუვალია-მეთქი. არავინ მიჯერებდა. მეც, მიჭირდა ტენდენციის საპირისპირო აზრის გამოთქმა, მაგრამ ჩემი ხედვა, ანალიტიკა, გამოცდილება მკარნახობდა, რომ ეს უნდა მეთქვა. საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ მართალი ვარ, თუმცა, ეს სრულებით არ მიხარია. ასე, რომ დასავლეთის მიერ, უკრაინასა და საქართველოსთვის, ეს ყველაზე ცუდი შემოთავაზება გახლდათ. თავად დასავლეთშიც იციან, რომ ცუდად მოიქცნენ, რადგან ამის მიღწევა, დიდ ომში მონაწილეობის გარეშე, შეუძლებელი იყო. მაგრამ ასე მოხდა. იდეოლოგია საზიზღრობაა. საქართველოშიც მთელი თაობა ამ ყალბი იდეოლოგიის, დაფინანსების, პარაზიტიზმის ქვეშ აღიზარდა. ჩვენ, ახალგაზრდებს გონება დავუმახინჯეთ. ქვეყნის განვითარების ნაცვლად, 24 საათი საუბარია იმაზე, როგორ შევდივართ ნატოში და ევროკავშირში. ვიმეორებ, ვერც ერთში შევალთ და ვერც მეორეში. ერთადერთი ვარიანტია, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დასავლეთის მიერ რუსეთის დამარცხებაა. მიღწევადია თუ არა ყოველივე, ეს ცალკე თემაა. ამ ეტაპზე, დასავლეთი რუსეთს ვერ დაამარცხებს, ამის შანსიც კი არ აქვს. დანარჩენი, უკვე, მომავლის საქმეა.

— დანილოვმა: საქართველომ მეორე ფრონტი გახსნას, რითაც ძალიან დაგვეხმარებაო...

— ეს პროვოკაციაა, სწორედ მცდელობა იმისა, რომ საქართველო ომში ჩაითრიონ. მიზანი რა არის? — საქართველო თუ სიგიჟის ზღვარზე მივა და ომს დაიწყებს, მაშინ რუსეთის ზოგი სამხედრო ნაწილი გეზს ამ მიმართულებით აიღებს. თუმცა, ჩრდილოკავკასიური სამხედრო ოლქიდან არავის მოუხსნია რაიმე ნაწილი ისე, რომ აქეთა მხარე დაუცველი დარჩენილიყო. ამიტომ, ეს არის ის ტოტალური უბედურება, პროვოკაცია, რამაც უკრაინელ ხალხს უბედურება მოუტანა. ისეთი ადამიანები როგორებიც დანილოვები და ზელენსკები არიან, რომლებიც საკმაოდ კარგად ახერხებენ, რომ საქართველო შეურაცხყონ, არ გახლავან ის პიროვნებები, რომელთაც ქართველმა ერმა უნდა მოუსმინოს. დანილოვის განცხადება საქართველოს გასაუბედურებლად გაკეთებული ჩვეულებრივი პროვოკაციაა. მე, სულაც არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც მიაჩნია, რომ დღეს, საქართველომ ვინმეს ბაბაია უნდა დაუძახოს და ა.შ. ხელისუფლება იმისთვის არსებობს, გონება გააჩნდეს და სახელმწიფო ისე მართოს, რომ ტრაგედია თავიდან ააცილოს. უკრაინის ხელისუფლება ამ პროვოკაციაზე შეგნებულად წავიდა. თუ საქართველოს ხელისუფლებაც იგივე ნაბიჯს გადადგამს, იგიც, შეწყვეტს არსებობას როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

— ბატონო დემურ, დაწესებული სანქციები რუსეთს რამდენად დააჩოქებს?

— ეს ყველაფერი გაანალიზებულია. მოხარული ვარ, რომ ჩემი ანალიზი, დასავლეთის პროფესიულ ცენტრებში გაკეთებული დასკვნებისგან, არაფრით განსხვავდება. თავისთავად ცხადია, სანქციები კარგი არავისთვისაა — არც აშშ-თვის არც ევროპისთვის, არც რუსეთისთვის. ვინ უფრო მეტად დაზიანდება და ვინ ნაკლებად, კონტურები უკვე გამოსახულია. სანქციების ის პაკეტი რაც უკვე არსებობს და არც მისი გაძლიერება, ბევრს არაფერს იძლევა. თუ რეალობას დავაკვირდებით, რუსეთისთვის სანქციები არავითარ დიდ საფრთხეს არ წარმოადგენს. იმიტომ, რომ სანქციების რეჟიმში მხოლოდ ე.წ. კოლექტიური დასავლეთი მოქმედებს. მას აზიის, აფრიკის, სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის არცერთი ქვეყანა არ შეერთებია. ეს, თავისთავად, იმაზე მიუთითებს, რომ ამ პირობებში, მით უმეტეს, როდესაც რუსეთი ნავთობისა და ბუნებრივი აირის ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია, პლუს, 2014 წლის შემდეგ, იგი, ფაქტობრივად, მსოფლიოში აგრო-სამრეწველო პროდუქციის ყველაზე დომინირებული ქვეყანა გახდა, მას არც მოშივდება და არც მოწყურდება. რა თქმა უნდა, სანქციები სერიოზულ პრობლემებს ქმნის, მაგრამ ყოველივე რუსეთს კიდევ ერთ დიდ ბიძგს აძლევს, რათა ეს კავშირები მინიმუმამდე დაიყვანოს და თვითკმარი ქვეყნის რეჟიმზე გადავიდეს. ბუნებრივია, ეს უცებ არ მოხდება, მაგრამ ამ მოვლენების შემდეგ, აუცილებლად, ასე იქნება და რუსეთს დასავლეთთან ისეთი ურთიერთობა, რომელსაც იგი ამ ხნის განმავლობაში ელტვოდა, ნაკლებად დასჭირდება. დააკვირდით, რუსეთის მიერ დასავლეთის დეგრადაციის ყველა მცდელობა, ამ უკანასკნელისგან ციინიკურად და დამცინავად იგნორირდა. ჯერ იყო და ნატოში გაერთიანებას ელცინი ცდილობდა, შემდეგ, იგივე მცდელობა, 2001 წელს პუტინს ჰქონდა. მაგრამ დასავლეთმა ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა. ახლა, იგი შედეგებს იმკის. რა თქმა უნდა, რუსეთიც ზარალდება, მაგრამ საბოლოო ჯამში, უახლოეს რამდენიმე თვეში, ზაფხულის ბოლომდე ყველაფერი დასრულდება და ჩვენ, უბრალოდ, ახალ სამყაროში ცხოვრებას დავიწყებთ, სადაც სხვა გეო-პოლიტიკური ლანდშაფტი, სხვა ძალის ცენტრები და ა.შ., იქნებიან.

— რამდენიმე დღის წინ, რუსეთმა გაზსადენით „ევროპა-იამალი“ ბუნებრივი აირის მიწოდება სრულად გადაკეტა, რაც ბელორუსსა და პოლონეთზე გადის. შედეგი რა იქნება?

— დიახ, რუსეთმა 30 მარტს სრულად გადაკეტა ბუნებრივი აირის მიწოდება გერმანიისთვის, გაზსადენით „ევროპა-იამალი“, რომელიც ბელორუსიასა და პოლონეთზე გადის. ეს პასუხია ანტირუსულ გამოხტომებზე. ასე, რომ თუ რუსები „ჩრდილოეთ ნაკადი-1“-ს დაკეტავენ, მაშინ ევროპელები უშანსოდ რჩებიან, სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მათ კატარიდან, უახლოესი რამდენიმე წლის განმავლობაში, სერიოზული ვერაფერი მიეწოდებათ. ევროპისათვის მეორე ალტერნატივა გახლავთ აფრიკა, განსაკუთრებით, ნიგერია, მაგრამ ლიბიაში აქტიურობის გამო, ამასაც კეტავენ. ამიტომ, ევროპამ ან უარი უნდა თქვას ბუნებრივ აირზე (ნავთობი შედარებით რთულად ჩასანაცვლებელი იქნება), ან სხვა ტექნოლოგიები გამოიგონის. ეს რუსეთის პრობლემა არ არის, არამედ ევროპის. რუსები ერთ წელიწადში ინფრასტრუქტურას ააგებენ, გადააწყობენ და სულ ცოტა ხანში აზიისკენ გადანაცვლებას შეძლებენ. დღეს, რუსეთი ევროპიდან აზიაში პირდაპირ ვერ წავა იმიტომ, რომ ინფრასტრუქტურა არ აქვთ, მაგრამ ააგებენ და ნავთობს და გაზს აზიისკენ მიმართავენ. ამიტომ, ეს ევროპელების პრობლემაა — ახალი ტექნოლოგიით რაიმე უნდა გამოიგონონ, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსულ ბუნებრივ აირს ვერაფრით ჩაანაცვლებენ. ბუნებრივი აირი და ხორბალი, უკვე, რუბლებში იყიდება. მალე, სხვა რაღაცებიც რუბლებში გაიყიდება და ევროპას ამაზე დათანხმება მოუწევს, სხვა გზა, უბრალოდ, არ აქვს.

— ტელევიზიები გარკვეულ შეთანხმებებზე საუბრობენ, თუმცა, აშშ-მ ჯერ არ იცის იკისრებს თუ არა უკრაინისთვის გარანტორის როლს. რეალურად, რა პროცესი მიდის?

— არავითარი გარანტორის როლი არ იქნება. ამ ეტაპზე, რუსეთი ამას, უბრალოდ, არ დაუშვებს. თუ დასავლეთი რუსეთს ვერ დაამარცხებს, მაშინ არც არაფერი მოხდება. ყველაფერი ისე დარჩება, როგორც იყო მოთხოვნილი.

— ზელენსკიმ, საქართველოდან ელჩი, საბოლოოდ, გაიწვია. ამ ნაბიჯს როგორ აფასებთ?

— ზელენსკი რას ამბობს და რას აკეთებს, ამას საქართველოსთვის და უკვე უკრაინისთვისაც ნულოვანი მნიშვნელობა აქვს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ქართველებს უნდა გვრცხვენოდეს თურმე, რომ რუსულ ბომბებს თავს არ ვუშვერთ და სხვების მაგივრად არ ვიხოცებით

თქვენი არ ვიცი, მე კი დავიღალე!

რაც უკრაინაში ეს ამბები დაიწყო, ვიღაც ქარაქუცა მოპოლიტიკანო ელემენტები ქათველებს თითქმის ყოველდღე გვეკითხებიან:

არ გრცხვენიათ?!

ძირითადად უკრაინიდან გვამუნათებენ, ზოგს უკრაინული გვარი აქვს, ზოგს ქართული, ზოგს რუსული. ისინი ირონიული გამომეტყველებით რუსულად გვიკითხავენ მორალს. თურმე ჩვენ ვალდებულნი ვართ, დედამოტ...ნულ რუსეთს გავუხსნათ მეორე ფრონტი, ამ გაცოფებულ იმპერიას შევაწყვიტოთ ჩვენი შვილები, დავანგრევინოთ და გადავაბუგინოთ ის, რაც ძლივს მოგვიხლაფორთებია, ძლივს აგვიშენებია!

თურმე ქართველებს უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი ხელისუფლების გამო, რომელიც რუსეთს ღიად არ უცხადებს ომს და როგორც უკრაინის ქალაქებში, ასევე თბილისშიც არ ცვივა ბომბები!

ხალხო!

ჩვენ ყოველდღე გვეკითხებიან და თან დაგვცინიან, არ გრცხვენიათო?

თან მორალს გვიხსენებენ... თქვენი ხელისუფლება ამორალურად იქცევაო. რატომ? იმიტომ, რომ ცეცხლში არ გახვია ქვეყანა!

მე არ მინდა ომი... აღარ მინდა!

გამოდის, მეც ამორალური ვარ! ყველა ქართველი ამორალურია! საქართველოს ყველა მოქალაქე, ვისაც ომი არ უნდა, ამორალურია!

ჰმ... არ გრცხვენიათო?

მაშინ, როცა აქედან გამოქცეული კრიმინალები შეიფარეთ, ძებნილები თანამდებობებზე დანიშნეთ და უკრაინიდან ჩვენს ქვეყანას არ ასვენებთ, ისევ ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს? გამაგებინეთ, ეს რანაირი გაგება, ადათი და სამართალი გაქვთ, ეს რანაირი მეგობრობაა?!

ცალმხრივი არც მეგობრობა ვარგა, არც ნათესაობა, არც ძმაკაცობა, არც მეზობლობა, არც არაფერი!

გარდა ამისა... ჩვენ ამაზე არ ვლაპარაკობთ, თითქოს მაგისი დრო არ არის, მაგრამ გვაიძულებთ, ვთქვათ: 2008-ში რომ დაგვანგრიეს და ჩაგვხოცეს, სად იყავით, სად ეყარენით? აა... კონცერტებს მართავდით და დაგვცინოდით, ხომ? თქვენი მასხარა პრეზიდენტი ჩვენს დროშას შეურაცხყოფდა, ხომ? ახლა უნამუსოდ გვპასუხობთ, მაშინ ის პრეზიდენტი არ იყოო. პრეზიდენტი ნუ იყო, ადამიანი ხომ იყო, ეგ ჩემის გადანგრეული?!

არც მე ვარ პრეზიდენტი, გამოვიდე და ვიღლიციონო?!

ჩვენი მოსახლეობის 80% არის ხელისუფლების მხარეს!

ჩვენი მოსახლეობის 80%-ს არ უნდა ომი!

ვისაც უნდა, ისინი არიან ავანტიურისტები, ისინი ქვეყანას უბედურებაში ჩაითრევენ და ეგრევე გაიპარებიან „ჩერეზ“ წითელი ხიდი!

ჩვენ არავისი ვალი არ გვაქვს!

30 წლის განმავლობაში საკმაო სისხლი და მსხვერპლი გავიღეთ. აღარაფერს ვამბობ საუკუნეების წინანდელ მსხვერპლსა და უბედურებაზე. გვეყოფა!

ამ სისხლისგან დაცლილ 3-მილიონიან ქვეყანას რომ მეორე ფრონტის გახსნას სთხოვთ, არ გრცხვენიათ?!

აშკარად ჩანს, რომ არ გრცხვენიათ, მაგრამ ჩვენ უკრაინელ ხალხს მაინც პატივს ვცემთ, განზე არ გავდგებით. დანარჩენი კი თქვენი მორალის საქმეა!

ისე, კიდევ ერთხელ უნდა ვიკითხო: ამდენი უნამუსო გამოხტომის შემდეგ მართლა არ გრცხვენიათ?!

●

ჩემი საყვედური დამთავრებული არ მქონდა, კიდევ ერთი უკრაინელი მაღალჩინოსანი გამოხტა – ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს მდივანი ალექსეი დანილოვი, რომელმაც ქართველებს მოგვიწოდა, რომ ჩვენ ახლა ტერიტორიების დაბრუნებით უნდა დავკავდეთ, თუკი სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე დამატებითი ფრონტები გაიხსნება, ეს უკრაინას რუსეთის მოგერიებაში ძალიან დაეხმარება. ამ ვინმე დანილოვმა არაკორექტულად მოქცევისთვის საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ უსაყვედურა და გვირჩია, დროულად შევეხიდოთ რუსეთის მხრიდან ქალაქებისა და სოფლების განადგურებაში, ბავშვებისა და ქალების ხოცვაში.

გაიგონეთ?!

ესენი ალაოდ არიან!

ბავშვებისა და ქალების ხოცვაში შეგვეხიდეთ, რაც მეტი ფრონტი გაიხსნება, რუსეთს გაუჭირდება, რაც მეტი ქვეყანა დაინგრევა, რუსებს მეტი რესურსი დაეხარჯებათ და მსოფლიოს თვალში ვლადიმერ პუტინი ტერორისტად გამოჩნდება.

„გენიალური“ მიგნებაა, მსგავსი გეგმა მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, მსგავსი პროექტი ჯერ არც ერთ მხედართმთავარს არ შეუმუშავებია.

დაიწყო ზელენსკიმ, გააგრძელა არახამიამ, გადაიბარა კულებამ, განავითარა გონჩარენკომ, პირდაპირ მოგვახალა დანილოვმა. არ ვიცი, ნებით, არ ვიცი – უნებლიეთ, თავდაცვის საბჭოს მდივანმა ის საიდუმლოც გაამხილა, რისთვისაც მიხეილ სააკაშვილი შემოათრიეს საქართველოში. ეს იყო წინასწარ მომზადებული უნიჭო პროექტი, რომელიც, სავარაუდოდ, მოამზადა უკრაინაში გადახვეწილმა გიორგი ლორთქიფანიძემ (მერაბიშვილის ყოფილმა მოადგილემ). მიუხედავად პროექტის ჩავარდნისა და სააკაშვილის ჩასვრილობისა, ლორთქიფანიძე მაინც უკრაინის დახმარებას თვალებს მოგვიწოდა, რომ ჩვენ ვერვის უფროსის მოადგილედ დანიშნეს. ალბათ გახსოვთ, როცა სააკაშვილი სანზონაში გადამალეს, ზელენსკიმ განაცხადა, მე არაფერი ვიცოდი, ტიპი სად გაქრა, არ ვიციო. მაშინ იცრუა, ყველაფერი მშვენივრად იცოდა.

ვინმე „დურაკ“ ერმაკს ჰგონია, ქართველი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ საომრად ბობოქრობს და ხელისუფლება არ უშვებს. მან არ იცის, რომ ამ შემთხვევაში ხალხი და ხელისუფლება ერთ აზრზეა. შეიძლება იცის კიდევაც, მაგრამ მისი მიზანი ფრონტების გახსნაა, ბევრი ფრონტებისა, რათა რუსეთს სიქა გამოეცალოს. ხშირად მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ ე.წ. მრჩევლებმა, კანცელარიის ჭიებმა, ადმინისტრაციის „უმფროსებმა“ თუ სხვადასხვა საბჭოების მდივნებმა რუკის მიხედვითაც კი არ იციან, რომელ და რანაირ ქვეყანას ებრძვიან. უფრო მეტად გამაღიზიანებელი კი ის არის, რომ ქართული სინამდვილით სპეკულირებენ, ცხვირწინ გვიყალბებენ, თურმე საქართველოში ხალხი ყოველდღე გამოდის გარეთ, აპროტესტებს, თავის არჩევანს აკეთებს, მაგრამ ხელისუფლებას არაფერი ესმის. ვინმე ერმაკ ვირეშმაკოვი უფრო შორს მიდის, ის იმედოვნებს, რომ ქართველი ხალხი ძალიან მკაფიოდ დასვამს შეკითხვას: რა გააკეთეთ იმისთვის, რომ ჩვენი ძმები, უკრაინელები არ დაეხოცათ?

თემა არ არის სასაცილო, თორემ ამათ გამოხტომებზე მაგრად ვიცინებდი, ძაან მაგრად აპარებენ „პიპკიდან“, ერმაკები შეწუხებულნი არიან, საქართველოს ხელისუფლებას ხალხი ჰკითხავს, უკრაინელებს რომ ხოცავდნენ, რას აკეთებდიო? თავიანთებურ წარმოდგენებში არიან, როგორც ჩანს, „ნაციონალები“ არწმუნებენ, მოსახლეობა ხელისუფლების საქციელით ჭკუიდანაა გადასული, მალე თბილისის ქუჩებში მილიონობით ადამიანი გამოვაო. ალბათ არ უნდათ დაიჯერონ, რომ სააკაშვილის კანტორას 30 აქტივისტიც კი ვეღარ გამოჰყავს გარეთ.

ერთი კვირის წინ, ანუ წინა ოთხშაბათს თურქეთში უკრაინული და რუსული მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ მოლაპარაკების მონაწილეებს მიმართა, არაფერი ჭამოთ, არაფერი დალიოთ და სასურველია, მოერიდოთ ზედაპირთან შეხებასაცო. ეს ინფორმაცია „ბიბისიმ“ გაავრცელა და ზელენსკის გარემოცვა ვერც კი მიხვდა, როგორ შეურაცხყო თურქეთის ხელისუფლება. შეიძლება მისახვედრიც არაფერია, არ გამოვრიცხავ, ჩვეულებისამებრ წაითავხედეს, ეშინიათ ბიჭებს, ემანდ არავინ მოწამლოს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ე.წ. მოლაპარაკების შემდეგ ცეცხლი არ შეწყვეტილა, რუსეთმა გაათმაგებული ძალებით შეუტია უკრაინულ ქალაქებს, ნაცარტუტად არის ქცეული ყოველივე. თუმცა „ნაციონალები“ ზეიმობენ, რუსეთი დამარცხდაო. მე პირადად ვერ ვხედავ დამარცხებულ რუსეთს, ალბათ ვერც თქვენ ხედავთ... აი, სააკაშვილის ბანდა კი ხედავს. ეს ბანდა არ გახლავთ მხოლოდ სააკაშვილისა, აშკარად გამოჩნდა, რომ ზელენსკიც ერთ-ერთი მაგათგანია.

ბატონი ვოლოდიმირი არ ისვენებს, ნაცვლად იმისა, რომ ცეცხლში გახვეულ ქვეყანაზე იდარდოს, აქეთ „გვეშპილკავება“, ფაქტობრივად წერასაა ატანილი – უკრაინის სრულუფლებიანი ელჩი იგორ დოლგოვი დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლა. ასევე გაათავისუფლა ელჩი მაროკოში – ოქსანა ვასილიევა. პატივს გცემთ, მაგრამ თუ იმ სახელმწიფოებს, სადაც ელჩებად ხართ, იარაღის მოწოდებაზე, სანქციების გამოცხადებაზე და რუსული ბიზნესის შეზღუდვაზე ვერ ითანხმებთ, მაშინ სხვა სამუშაო ეძებეთო. გაიგონეთ?

როგორც მოსალოდნელი იყო, აქ ტუსაღმა მიხეილ სააკაშვილმაც გამოყო ფეხი, სტამბულში უკრაინის პირველი დიდი გამარჯვება გაფორმდა, რუსეთმა აღიარა, რომ კიევს ვეღარ იღებს და ჯარები გაჰყავსო. რუსეთმა რა აღიარა, ჯარები როგორ გადააჯგუფა და როგორ დაიწყო ხელახალი საბრძოლო მოქმედებები, ვნახეთ. „მხედართმთავარი“ სააკაშვილი ამტკიცებს, რომ პუტინის მთავარი ოცნება, დაპატრონებოდა კიევს, სამუდამოდ დაინგრა:

კაცი ტყვეობაშია, ამდენ საქმეს აკეთებს, თავისუფლებაზე რომ იყოს, მაშინ რაღას იზამდა? აკი ამბობენ კიდევაც პეტრეები, აკუები, ვაკოები და მათნაირნი, ჩვენი ბელადი გარეთ რომ იყოს, პუტინს დაამარცხებდა... რა, ჯერ არ დაუმარცხებიაო? გამოცდილება არ აქვსო? დიახაც, დაუმარცხებია კიდევაც და გამოცდილებაც გააჩნია გამარჯვებებისაო!

ისე, მაინც ვერ გავიგე, ამ მაროკომ რაღა დაუშავა უკრაინას?

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

სააკაშვილის „ადიუტანტკა“ პავლიკა მოროზოვა

ამ ქალზე სერიოზული წარმოდგენა არადროს მქონია. მისი არსებობის შესახებ 1991-1992 წლების გასაყარზე გავიგე, ერთ-ერთ ვიდეოში ვნახე, რომელიც უზენაესი საბჭოს (ამჟამინდელი პარლამენტის შენობა) ე.წ. ბუნკერში იყო გადაღებული. გარედან მოღალატეებს ცეცხლი ჰქონდათ გახსნილი, ზვიად გამსახურდია კი თანაგუნდელებთან ერთად თავს იცავდა. ეს ქალი მაშინ 19 წლისა იყო, რა უნდოდა პრეზიდენტისა და სხვა მაღალჩინოსნების გარემოცვაში, მისი „ღვაწლი“ ხომ სამშობლოს წინაშე მხოლოდ ის გახლდათ, რომ (როგორც თვითონ წერს) თურმე 1989 წლის 9 აპრილამდე ეროვნული დამოურჩილებლობის მასშტაბურ კამპანიაში ყოფილა ჩართული. თურმე 15-16 წლის „გოგოშკა“ საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებებში უნდა შეხვედროდა თანამშრომლებს და ჩაეტარებინა აგიტაცია გაფიცვის მნიშვნელობაზე. აი, ლენინი რომ დადიოდა ხოლმე ფაბრიკა-ქარხნებში, ზუსტად ისე.

არ გამოვრიცხავ, ნორჩ ეკა ხერხეულიძეს იღლიაში „პრავდაც“ ჰქონოდა ამოჩრილი, ან კიდევ „ნორჩი ლენინელი“. მაშინ ჯერ კიდევ გამოდიოდა ეს გაზეთები. ოოოხ, აი, უნებლიედ წამომცდა იმ ქალის „სახელწოდება“, რომლის ვინაობის გამხელასაც ჯერ არ ვაპირებდი. თუმცა თქვენი მიხვედრილობის ამბავი რომ ვიცი, მანამდე მიხვდებოდით.

მოკლედ, 9 აპრილის წინა წლებში, როცა ეკუში ჯერ კიდევ თინეიჯერი იყო (მაშინ სიტყვა „თინეიჯერი“ ფართო მასებისთვის არ იყო ცნობილი), დაუმეგობრდა ორ ირაკლის - ბათიაშვილსა და წერეთელს. ამათ უთხრეს, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულება მოიფიქრე, მეგაფონით მივადგეთ, მიტინგი ჩავუტაროთო. ახლა კი მოუსმინეთ თვით ეკუშის (სტილი დაცულია):

„სხვაგან რომ არ მეძებნა ასეთი ობიექტი, მე, ირაკლი ბათიაშვილი და ირაკლი წერეთელი მეგაფონით მივადექით მამაჩემს სამსახურში. ფეხები კი მიკანკალებდა, მაგრამ გავბედე. თანამშრომლების სახე ახლაც მახსოვს, ზუსტად იცოდნენ რაც მელოდა. მძღოლი (შამო) ეძახის - შოთაევიჩ, ავთანდილოვნაა მოსული. მეგაფონით წერეთელი მოუწოდებდა ხალხს, რომ უარი ეთქვათ საბჭოთა კავშირისთვის პროდუქციის შექმნაზე. მამაჩემი მეკითხება - ესენი ვინ არიან? ვპასუხობ - ეროვნული მოძრაობის ლიდერები. ვაი, თქვენს პატრონსო დაიყვირა და მერე აღარ მახსოვს. მაგრად შემრცხვა. სანაპიროზე მაშინ მგონი ერთადერთი კაფე იყო „მაიკო“ , იქ დავსხედით და შერცხვენილი ხმამაღლა ვტიროდი“.

პავლიკა მოროზოვი გახსოვთ? „მე მოვკლავ დედას, მე მოვკლავ მამას, თუკი პარტია მიბრძანებს ამას“! ასეთ რამეს ვერ ისწავლი, ასეთ კურსებს ვერსად გაივლი, ვერც თსუ-ში, ვერც „გეპეიში“, ასეთად უნდა დაიბადო, ასეთად უნდა შეიქმნა, თუ რამე, თუ სიტუაციამ მოგთხოვა, პირველ რიგში მამას უნდა მიადგე, აბა, რა?! როგორც ეკუში ამბობს, შემდეგ იყო შიმშილობა, რა სკოლა, რის სკოლა? აი, მეგობრებო, მართლაც, რა სკოლა, რის სკოლა? როდესაც ამ ქალის მოგონება წავიკითხე, გამიკვირდა, ყოველ წინადადებაში უამრავი შეცდომა აქვს, არც სასვენ ნიშნებს ცნობს, არც პუნქტუაციას, არც სტილისტიკას, ამან თსუ-ში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი რანაირად დაამთავრა? როცა სკოლაში სიარულისა და სწავლის დრო იყო, იქ არ შესულა, საკუთარ მამას ებრძოდა, მეგაფონით მიადგებოდა ხოლმე და ყვიროდა, ძირს კომუნისტი მამაჩემიო!

ახლა იმაზე უნდა გითხრათ, ამ გაგანია ომიანობისა და პანდემიის პირობებში ეს ქალი რამ გამახსენა? როგორ გითხრათ, საამისოდ ორი მიზეზი მაქვს: ჯერ ერთი, ეს არის „მთავარსარდალ“ მიხეილ სააკაშვილის პირადი ადიუტანტი. მარტო ეგღა დარჩა, მარტო ეგღა დარჩა, რომელიც მასთან საკანში შედის, გამოდის, შედის, გამოდის და ახალ-ახალ ზღაპრებსაც იგონებს; მეორე - ის თითქმის ყოველ საღამოს გამოჰყავთ ე.წ. კრიტიკულ (სინამდვილეში მოღალატურ) ტელევიზიებში და ბოდავს. იცით, ბოლოს რაზე აღშფოთდა? ირაკლი ღარიბაშვილმა მიხეილ სააკაშვილს ლაჩარი როგორ უწოდა, ეს როგორ გაბედაო? მეტიც, უწიგნური ეკუშის თვალსაზრისით, სკოლაში საერთოდ რომ არ უვლია, უნივერსიტეტში ფილოლოგიურზე მაინც რომ მოეწყო კომუნისტ მამის „ბლატებით“ და წერტილ-მძიმის დასმა მაინც რომ ვერ ისწავლა, ირაკლი ღარიბაშვილი არის მწირი ინტელექტის მქონე ადამიანი. თურმე მან „ნაცმოძრაობას“ შულავერის კომიტეტი რომ უწოდა, წარმოდგენა არ აქვს, რა არის შულავერის კომიტეტი, უბრალოდ ბიძინა ივანიშვილმა უთხრა, ეგრე თქვიო და ამანაც თქვა. ასეთი რაღაცნაირი საუბარი ქალბატონმა ეკუშიმ „ჭუტავიზიის“ („ტვ პირველი“) პირდაპირ ეთერში გამართა ბატონ ბუკას მეუღლესთან, ასევე ეკუშისთან, ოღონდ მიშველაძესთან, რომელიც ლამის საათნახევარი მხრებს „იჩეჩდა“ პრემიერ-მინისტრმა მიხეილ სააკაშვილს ლაჩარი უწოდა, ნეტავ სად ნახა მისი ლაჩრობაო? აი, ორი დღეა ტვინს ვიჭყლეტ, ვცდილობ, რამე ისეთი გავიხსენო და რა ვქნა, ვერ ვიხსენებო. არადა, თუ დებილი არ ხარ, ძალიან იოლი გასახსენებელია, ე.წ. მთავარსარდალმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი გორში რომ ჩაიყვანა, მერე მოტოციკლეტის ხმა რომ მოესმა, ბომბდამშენი რომ ეგონა და უკანმოუხედავად გაჰქუსლა. დაცვა ძლივს დაეწია, ძლივს გააჩერეს, წაიქცა, იღმუვლა, იტირა, ბრონირებულ ჯიპში შეაგდეს და თბილისში ჩამოიყვანეს. ვიდეოში და ფოტოებზე კარგად ჩანს, მგონი „მთავარსარდალს“ ორი ცალი „ბრონიჟილეტი“ აცვია, სწორედ ისე, 2003 წლის შემოდგომაზე პარლამენტში შეჭრისას რომ ეცვა. მაშინ გაუმართლა, კაცური თვისებებისა არავინ გამოუჩნდა, ყველამ ჩაიფსა, ახლა კი გაიშიფრა, ფრანგი მინისტრი, რომელსაც არანაირი ჟილეტი არ ეცვა, ღიმილით უყურებდა, პრეზიდენტი როგორ ხოხავდა მიწაზე. მანამდე კი მთელმა მსოფლიომ ნახა „ბიბისის“ კადრები, როგორ ღეჭავდა სააკაშვილი წითელ ჰალსტუხს. ახლა გვარწმუნებენ, რომ თურმე ეს სილაჩრე კი არა, განსაცდელის ჟამს ადამიანური თვისებების გამოვლინება ყოფილა... მაგ დროს ზოგი იფსამს, ზოგი იკუკავს, ზოგი გარბის, ზოგი მორბის, ზოგი კიდევ ადგილზე შეშდება, ეს ლაჩრობა კი არა, ემოციის გამოხატვის განსაკუთრებული ფორმებიაო. მეტიც, როგორც მამასთან მებრძოლი ხერხეულიძე ამბობს, მიხეილ სააკაშვილი არის უშიშარი, ვითარცა უზრცგო და უცხიმო:

„მიხეილ სააკაშვილს ლაჩარი უწოდა, სად ნახა მისი ლაჩრობა?“

კინაღამ დამავიწყდა, ამ ქალს ორი დიპლომი აქვს, ერთი ფილოლოგისა, მეორე - „გეპეის“ იურისტისა. მიუხედავად ამისა, 1998-1999 წლებში ის მაინც იყო სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის საწარმოო სტაჟირების დეტალების დამკომპლექტებელი. ერთი უყურეთ, ქალი 1989 წლამდე საწარმოების თანამშრომლებს ინსტრუქტაჟს უტარებდა, როგორ უნდა გაფიცულიყვნენ, როგორ უნდა ემიტინგათ და 10 წლის შემდეგ თვითონ გახდა მუშათა კლასის წარმომადგენელი, საწარმოო სტაჟირების დეტალების დამკომპლექტებელი. სხვათა შორის, ამ ფაბრიკას ძალზედ სკანდალური ისტორია ჰქონდა, 1970 წელს ფეხსაცმელების ტყავის ფალსიფიცირების გამო ოთარ ლაზიშვილი (უფროს თაობას ახსოვს „ცეხავიკი“ ლაზიშვილები) და კიდევ 126 ადამიანი დააპატიმრეს. სწორედ ამ „ისტორიულ“ საწარმოში „მოღვაწეობდა“ მიხეილ სააკაშვილის „ადიუტანტი“ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე და ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ 2004-2008 წლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, 2008-2012 წლებში კი საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი გახდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ სიით. ქალბატონ ეკუშიზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ „დედალი“ „ნაციონალია“, ანუ სტაჟიანი და გამოცდილი. საერთოდ, ასეთებს განათლება, განვითარება, დახვეწა და ეგეთი რაღაცები არ სჭირდებათ, ასეთები დარწმუნებულნი არიან, რომ უკვე ყველაფერი ისწავლეს, უკვე უზადოდ განათლდნენ, გაბრწყინდნენ და აწი მეტი აღარაფერია საჭირო. დიახ, მათ ყველაფერი იციან მარიოპულის შესახებაც, კიევის შესახებაც, ხარკოვის შესახებაც, კუკლუსკანის შესახებაც. აი, ბიძინამ და ირაკლიმ არაფერი იციან, ისინი გაუნათლებლები არიან. არ დაიჯერებთ, მამის „ჩამშვები“ ადამიანი, რომელიც დღეგამოშვებით დადის მიხეილ სააკაშვილის საკანში (მარტო ეს არ დაიღალა!), პარლამენტში მე-4 „კრუგზე“ მიდის, თუ აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრობასაც მივუმატებთ, 18 წელიწადი ბიუჯეტის ხარჯზე „ბაირამობს“. თუ ვინმე მის მიერ გაკეთებულ ერთ საქმეს მაინც დამისახელებს, ბოდიშს მოვიხდი და საერთოდ გავჩუმდები.



ჩვენი დროის პავლიკა მოროზოვას ენა თოხივით აქვს გადებული მხარზე და სკოლაში „არნავალი“ სხვების განათლებაზე ლაპარაკობს, სხვებს ინტელექტს უწუნებს. წარმოგიდგენიათ? თუმცა წარმოუდგენელი რაღაა, „ნაცების“ ჯიშია ასეთი, სადაც ძალიან უჭირთ, სწორედ იმ თემას წამოუწევენ ხოლმე ხელისუფლების წევრებს, მით უფრო პირველ პირებს.

კიდევ რა გითხრათ? ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ტიპიური „ნაცის“ დასახასიათებლად ესეც საკმარისია.

ისე, მე მაინც მიკვირს, რა უნდოდა არასრულწლოვან ეკუშის 1991-1992 წლების გასაყარზე ე.წ. ბუნკერში? ახლა არ მითხრათ ეგეც რუსებმა შეაგზავნესო. არ მჯერა, ეგეთი პატარა რანაირად უნდა „დაევორბევკებინათ“? თუმცა, რას გაიგებთ, ზოგი ხომ „დავერბოვკებული“ იბადება?

როგორც ყველა „ნაცს“, ეკუშისაც ომი სწყურია... ომი და მიშას თავისუფლება, რომელიც ქართულ ჯარს ჩაუდგება სათავეში და სულ რაღაც ერთ კვირაში ააფრიალებს ქართულ-უკრაინულ დროშას კრემლის თავზე.

დაველოდოთ, მეგობრებო, ეგებ მართლა ააფრიალონ ხონის ფსიქოდაწესებულების პაციენტებმა კრემლის თავზე დროშა?

ავოიე!!!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მითების მსხვრევის ჟამი

გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, ჩვენი ოპოზიცია საუბრობს, რომ რუსეთი დასუსტდა. როგორ ფიქრობთ, ეს სიმართლეა და რა არის მისი გეგმა-მაქსიმუმი უკრაინასთან მიმართებაში?

— რუსეთის გეგმა ასეთია: ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების დამოუკიდებლობის აღიარება და უკრაინის ნეიტრალიტეტი. ზელენსკი, ამ მოთხოვნებს არ თანხმდება. უკრაინისთვის შედეგი გამანადგურებელი იქნება.

— ზელენსკი ნატოს მიმართ მოთხოვნებს ზრდის და ამჟერად, ნატოს შეიარაღების 1% სურს. რამდენად რეალურია ეს ულტიმატუმი?

— სახელმწიფო მოღვაწისგან მსგავსი მოთხოვნა, საერთოდ, ლოგიკას არ ექვემდებარება. თუკი ნატოს წევრი ქვეყნები უკრაინისა და რუსეთის დაპირისპირებაში ჩაერევიან, ეს გარდაუვლად, მესამე მსოფლიო ომს გამოიწვევს. არავინ იცის, თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყება, უკრაინასთან ბრძოლაში დასავლეთს, რუსეთთან ერთად, რომელი ქვეყნები დაუპირისპირდება. ცხადია, თუკი რუსეთი ევროატლანტიკური გაერთიანების ქვეყნების პირისპირ მარტო აღმოჩნდება, მის შემდეგ რიგში სხვა ქვეყნებიც ჩადგებიან. პრო-ამერიკულთან ერთად, ბევრი ანტი-ამერიკული ქვეყანა არსებობს, რომელთა პოლიტიკა აშშ-ს მიმართ კეთილგანწყობლური არ არის. ამიტომ, არავინ იცის რა კავშირები შეიკრება და რუსეთ-უკრაინის დაპირისპირება რამდენად მასშტაბურ ომში გადაიზრდება.

მითი იმის შესახებ, რომ ნატოს გაერთიანებაში თუ არ ხარ, იგი მაინც გვერდით დაგიდგება, დაიმსხვრა. გაოცებული ვარ, რატომ არ გაიზიარა უკრაინამ საქართველოს 2008 წლის ომის გამოცდილება. დარწმუნებული ვარ, დროის დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, ზელენსკი, ახლა, პირდაპირ რუსეთთან დიალოგს დაიწყებდა ჯერ კიდევ იქამდე, სანამ რუსეთის ჯარი მის საზღვრებთან განლაგდებოდა.

— რა ხდება ამ დროს საქართველოში — ოპოზიცია აქ, მეორე ფრონტის გახსნას ცდილობს?

— დიახ, რაც ერთმნიშვნელოვნად, პროვოკაციაა. მსგავსი განცხადება დანილოვმაც გააკეთა — თუ ჩემი სახლი იწვის, შენიც დაიწვასო — მოგვიწოდა. ასეთი დათქმა საქართველოს მხრიდან არ ყოფილა — თუკი რუსეთსა და უკრაინას შორის დაპირისპირება მოხდებოდა, ჩვენც ჩავერთვებოდით ან პირიქით, თუ რუსეთსა და ჩვენს შორის მოხდებოდა დაპირისპირება, უკრაინა ჩაერთვებოდა. მსგავსი სამხედრო გეგმა, დიპლომატიური გარიგება არ არსებობდა. ეს აბსურდია. სად გაგონილა, ქვეყანა თავისი ინიციატივით, ყოველგვარი მოლაპარაკებების, სამხედრო დაგეგმარების, წვრთნების გარეშე, საკუთარი შეიარაღებული ძალებით ომში ჩაერთოს. გაუგებარია, რუსეთ-უკრაინის ომში საქართველო რატომ უნდა ჩაერთოს?! საქართველო ასეთი

რთული ისტორიული გამოცდის წინაშე არასდროს მდგარა. ჩვენი ხელისუფლება ამ გამოცდას მაღალ დონეზე აბარებს. ის პოლიტიკური გზა, კურსი, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ამ ომთან დაკავშირებით აიღო, აბსოლუტურად, ეროვნული, სახელმწიფოებრივი, სახალხო და საკუთარი ქვეყნის ინტერესებზეა მორგებული. ეს არის გათვლა იმაზე, რომ ჩვენი ტერიტორიები დავიბრუნოთ და რა თქმა უნდა, არც ევროატლანტიკური გაერთიანების სიკეთეებზე ვთქვათ უარი. მეორე ფრონტის გახსნა, „ნაცმოძრაობის“ ნარატივია, რაც ერთი-ერთში გაიმეორა უკრაინის უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარემ. დანილოვის განცხადება „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთმა იდეოლოგმა ნიკა გვარამიამ „დაგმო“. თქვენ გგონიათ გვარამიას „განრისხება“ რეალური იყო? გვარამიას მრისხანება შემდეგმა ფაქტორმა განაპირობა: იგი მიხვდა, რომ ის სურვილი და პოლიტიკური განზრახვა, რაც „ნაცმოძრაობას“ საქართველოში აქვს, დანილოვის პირით გაცხადდა და მათ მიზნებს ნიღაბი ჩამოეხსნა. დიახ, ამ პარტიის საქართველოში მოღვაწეობის რეალური არსი და მიზანი გაშიშვლდა. სწორედ, ეს არ მოეწონა გვარამიას. მათ ამ სცენარის სისრულეში მოყვანა დანილოვის განცხადებამდე სურდათ. საინტერესოა, რა ეგონათ — უკრაინელი მებრძოლი პატრიოტები ეტყოდნენ: ომში თქვენც უნდა ჩაერთოთო?!

„ნაცმორაობას“ 2008 წლის ომის მერე, თავად აქვს პირობა დადებული, რომ საქართველო სამაჩაბლოსა და აფხაზეთს იარაღით არასდროს დაიბრუნებს. ახლა, რომ აფხაზეთში ან ცხინვალში შევიჭრათ, ეს ხომ დაკარგული ტერიტორიების იარაღით დაბრუნების მცდელობა იქნება. რა გამოდის? — ჩვენ, სხვის ომში გვეძახიან და გვეუბნებიან: თქვენი შვილებიც დაიხოცოს და თქვენი სახლებიც ისევე გადაიწვას როგორც ჩვენიო. ჩვენ კი არა, თავად ამერიკაც პირდაპირ ამ ომში რომ ჩაერთოს, ამის საფუძველიც არ არსებობს. გეკითხებით: რატომ უნდა ჩაერთოს აშშ ომში, მესამე მსოფლიო ომი რომ წარმოშვას თუ ექსპერიმენტი უნდა ჩაატაროს?! განა, ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობა ირღვევა თუ რა ხდება?! ევროკავშირი თავისთან არ გააწევრიანებს, რადგან იცის, რომ საშიში ქვეყანა ვართ შემდეგი კუთხით: ჩვენს გვერდით დიდი სამხედრო მანქანა დგას და მასთან, პირდაპირ, შეტაკებას ისინი ყოველთვის ერიდებიან. ნატოში შემდეგი მიზეზით არ გვაწევრიანებენ: მის წესდებაში არის ვალდებულება, რომ თუ ნატოს წევრი ხარ, იგი საჭიროების დროს სამხედრო მოქმედებებში უნდა ჩაერთოს. აი, ამიტომ ყოვნდება საქართველოს, უკრაინის ევროკავშირში, ნატოში მიღება. ასე, რომ ევროატლანტიკური ქვეყნები თავად მზად არ არიან, რათა ჩვენისთანა ქვეყნების ბედი გადაწყვიტონ. რუსეთმა უნდა იგრძნოს, რომ ჩვენ, მის მიმართ მტრულად განწყობილი არ ვართ. ჩვენ ქრისტიანები ვართ, თუ საჭიროა მტერსაც კი დავინდობთ. ეს პოლიტიკა გამართლებულია. დარწმუნებული ვარ, უკრაინის მაგალითზე, ჩვენი მართლმადიდებლური, კეთილმეზობლური დამოკიდებულების გამო, თვალი აეხილებათ როგორც ევროატლანტიკური გაერთიანების ქვეყნებს, ასევე, რუსეთსაც. მიუხედავად ყველაფრისა, უკრაინა ჩვენი ტკივილია. საკუთარი რესურსით, შესაძლებლობების ფარგლებში, მისთვის, ყველაფერს ვაკეთებთ. იარაღი არ გვაქვს რომ მივაწოდოთ, მაგრამ უკრაინელ დევნილებს ვიფარავთ. ხელისუფლებაც და ხალხიც ყველაფერს აკეთებს, რათა უკრაინელ ხალხს დაეხმაროს. ევროატლანტიკური ქვეყნები ჩვენზე მეტს ბევრს არაფერს აკეთებენ. ჩვენ — ვეხმარებით, ისინი — იარაღს აწვდიან, ერთმანეთი დახოცეთო.

— უკრაინის მაღალჩინოსნების და ნაცების მოსაზრებები თანხვედრაშია. „ნაცმოძრაობა“ საქართველოდანაც გვიტევს და უკრაინიდანაც?

— ამ ფორმულირებას საფუძველი ნამდვილად აქვს. პირდაპირ ვიტყვი: „ნაცმოძრაობას“ ამ განზრახვის შესრულების ერთი ადგილი არც აქვს. იგი პოლიტიკური ქულების დაწერის მიზნით პროვოკატორობს. ვიმეორებ: დანილოვმა მათ განზრახვას ნიღაბი ჩამოხსნა. ეს, მათთვის, შემაშფოთებელი იყო. მეორე მხრივ, ეს პროვოკატორები, არცერთი ომში წამსვლელნი არ არიან. ვინც უკრაინაშია, თქვენ გგონიათ ფრონტის წინა ხაზზეა? — დადიან და „ლაივებს“ იღებენ. თუმცა, იქ არიან ქართველები, რომლებიც ალალად, ვაჟკაცურად იბრძვიან. მათ, მართლა ჰგონიათ, რომ იქ, საქართველოსთვის იბრძვიან. დაე ეგონოთ, თავიანთი საქმე თავად იციან. გლობალურად სურთ ქვეყანა ომში ჩაითრიო, რასაც უკრაინიდან, უკვე, აშკარად აჟღერებენ. „ნაცმოძრაობის“ სურვილიც ეს არის. სხვათა შორის, ნაცებს არ გაუკეთებიათ ის რაც 2008 წლის ომის დროს მაშინდელმა ოპოზიციამ გააკეთა — მან მორატორიუმი გამოაცხადა და ხელისუფლებას, რუსეთის პირისპირ, გვერდით დაუდგა. ახლაც, შეიძლებოდა იგივეს გაკეთება — მორატორიუმის გამოცხადება, უკრაინისთვის უფრო მეტი დახმარების მოთხოვნა და არა ომში ჩართვაზე გაუთავებელი ლაპარაკი. მაგრამ იმდენად გაავებულნი არიან, რადგან იციან, რომ ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, ამიტომ, გამოსავალი საქართველოს ომში ჩათრევა ჰგონიათ. დიახ, ქვეყანას ომის ქარ-ცეცხლში გახვევენ, სამაგიეროდ, თვითონ მშრალად გამოვლენ. ვინმეს ჰგონია, რომ თავად იომებენ?! ყველას გვახსოვს, სად იყვნენ 2008 წლის ომის დროს! სწორედ, ამ გზით ფიქრობენ ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას და ხელისუფლებაში მოსვლას, რაც აბსურდია. ეს ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა. ამაზე ფიქრიც კი, ერის წინაშე, დანაშაულია.

— ბოლოს, როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება ომის მოვლენებს ხომ არ უკავშირდება?

— სააკაშვილის აქ ჩამოსვლას არეულობა უნდა მოჰყოლოდა. უბრალოდ, მან ვერ გათვალა ის ძალები, ვისაც საქართველოში ქაოსი უნდა შეექმნა. უკრაინაში ომი თუ დაიწყებოდა, მიშა საქართველოში, არეულობის ფონზე, ხელისუფლებას შეცვლიდა. სააკაშვილი თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა, აქ, შესაძლოა, რუსებისთვის მეორე ფრონტი გაეხსნა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

სამშობლო უნდა იცნობდეს თავის ფარისევლებს!

უკრაინაზე გულატკივებულმა ოპოდეპუტატმა საოფისე ფართი რუსებს მიაქირავა

საქართველოს პარლამენტის წევრი ტარიელ ნაკაიძე ძალზედ აღტყინებული გახლავთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო. იგი თავის აღტყინებას გამოხატავს მრავალფეროვნად, რამდენიმე მიმართულებით: პირველი - არა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოში, ე.წ. კრიტიკულ მედიასივრცეშიც გამოირჩევა ხმაურიანი განცხადებებით. თუ აქამდე

მეჩეთების აშენებასთან დაკავშირებით აქტიურობდა, ახლა თავისი „ტყვიისებური" სიტყვა უკრაინისა და უკრაინელთა დასაცავად მიმართა.

თუმცა!

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, სწორედ ამ ფულდახარბებულ ფარისეველზეა ნათქვამი!

არ დაიჯერებთ... აი, მართლა არ დაიჯერებთ: მან რამდენიმე დღის წინ ბათუმში თავისი კუთვნილი საოფისე ფართი 1000 აშშ დოლარად მიაქირავა რუსეთის მოქალაქეებს (ასე იტყობინებიან სანდო წყაროები), რომლებიც საქართველოში ჩამოვიდნენ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. რუსეთის მოქალაქეებმა დააფუძნეს შპს, ისინი რას საქმიანობენ, არავინ იცის. პრინციპში, ბატონმა ტარიელმა უნდა იცოდეს, ამხელა საოფისე ფართს ეგრე ჰაიჰარად ხომ არ გააქირავებდა?

ეგ კი არა, ერთი კვირის წინ კატეგორიულად ითხოვდა, საქართველოში შეწყვეტილიყო ყველა რუსული და პრორუსული საინფორმაციო საშუალებების მაუწყებლობა.

თუმცა!

საქმე ფულზე რომ მიდგა, აღარც საქართველო გახსენებია, აღარც უკრაინა!

აჭარაში ბევრს ლაპარაკობენ ამ ადამიანის საეჭვო მოღვაწეობაზე - ის დღემდე წარმატებით ახერხებს უცხო ქვეყნის ინტერესების გატარებას და ამავე დროს საკუთარი კეთილდღეობის მოწყობას. ბათუმის მუსლიმი მოსახლეობა საუბრობს ტარიელ ნაკაიძის მიერ ბათუმის მეჩეთის მშენებლობის ფონდიდან საკუთარი კეთილდღეობისთვის დახარჯული თანხების შესახებ. ამბობენ, რომ ნაკაიძე მუდმივად ცდილობდა მუსლიმი და ქრისტიანი მრევლის დაპირისპირებას. სწორედ მისი პროვოკაციული საქმიანობა გაითვალისწინეს, როცა გიგა ბოკერიამ და გიგი უგულავამ „ევროპული საქართველოს" საარჩევნო სიაში ჩაწერეს. ისე, აქ ძაან მაზალო რაღაცა მოხდა, ე.წ. ლიდერები (კაკოიე ბობოხიძის თამადობით) პარლამენტს გარეთ დარჩნენ, ნაკაიძე კიდევ გაადეპუტატეს.

ვინ არის ტარიელ ნაკაიძე, რომელსაც კვირაში ცხრა პარასკევი აქვს და რამდენიმე მიმართულებით პროვოკატორობს?

ხულოს რაიონის სოფელ მეკეიძეების საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1994 წელს ყურანის შესწავლის მიზნით, აჭარის ყოფილი მუფთის - ავთანდილ აბაშიძის მხარდაჭერით და თურქი რელიგიური ემისრების დაფინანსებით გაემგზავრა თურქეთის რესპუბლიკაში. ყურანის შემსწავლელი კურსების დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო ანკარაში თურქეთის გმირთა სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში („გაზი") არაბული ენის სპეციალობით, რომელიც დაამთავრა 1999 წელს.

აჭარაში დაბრუნების შემდეგ, 2000 წლიდან ნაკაიძე სათავეში ჩაუდგა თურქეთის რესპუბლიკაში განათლებამიღებულ ახალგაზრდებს და დაიწყო სხვადასხვა

მოთხოვნების წამოყენება - კერძოდ, ითხოვდა რეორგანიზაციას აჭარის სამუფთოში, მუფთის არჩევითობის დაკანონებას და რატომღაც თურქეთის მხარისთვის სასურველი კანდიდატის გაყვანას.

ტარიელ ნაკაიძეს კავშირი აქვს თურქეთსა და საქართველოში მოქმედ ორგანიზაცია "TIKA"-სთან, რომელიც აფინანსებს მის მიერ დაგეგმილ სხვადახვა ღონისძიებებს, კონფერენციებს. ეს ორგანიზაცია არემონტებს ოფისებს, იძენს ინვენტარს და რაც მთავარია, მარხვის პერიოდში, ერთი თვის განმავლობაში აფინანსებს 400 მუსლიმისთვის ყოველდღიურ ვახშამს.

2012 წელს ტარიელ ნაკაიძე აქტიურად იყო ჩართული ლანჩხუთის რაიონის სოფლებში (ნიგვზიანი, წინწყარო, სამთაწყარო, ჭელა, მოხე) განვითარებულ მოვლენებში. ის მოხეში მცხოვრებ მუსლიმ მრევლს დღესაც მოუწოდებს, არ ილოცონ სამუფთო სამმართველოს მიერ აშენებულ მეჩეთში და ლოცვა გააგრძელონ სადაო შენობის ეზოში.

ტარიელ ნაკაიძე ცდილობდა, შუღლი გაეღვივებინა ახალი მეჩეთის მშენებლობის მოტივით. კერძოდ, ჯერ კიდევ, როცა ბათუ-

მის ცენტრალური მეჩეთი თავისუფლად იტევდა მუსლიმ მრევლს, მისი ინიციატივით, ე.წ. „ჯუმა ნამაზის" ლოცვის დროს, მეჩეთის მეორე სართულზე დაიწყეს თავისუფალი ოთახების დაკეტვა, რათა მრევლი სალოცავად გასულიყო ქუჩაში, რითაც გაამყარა ახალი მეჩეთის მშენებლობის მოთხოვნა.

გიგა ბოკერიას „მეცადინეობით" გადეპუტატებულმა ნაკაიძემ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ჯერ კიდევ შარშან გამოუცხადა, არასდროს მოგცემ უფლებას, საქართველოში მცხოვრები უმცირესობები მეორეხარისხოვან მოქალაქეებად დაყო და მიიჩნიო, მე აქ საქართველოს უმცირესობების ხმა გახლავართ, არაფერი შეგეშალოთ, სადაც გვინდა მეჩეთებს ავაშენებთ, სადაც გვინდა - სინაგოგებს, სადაც გვინდა - ეკლესიებსო. ტაში, ბატონო კუკური, ეს ქვეყანა ვინმე ტარიელ ნაკაიძისა ყოფილა!

მე აქ (პარლამენტში) უმცირესობების ხმა ვარო. კი არის ქართველ მუსლიმთა კავშირის თავმჯდომარე, მაგრამ „ბოკერვილების" კვოტით გასული სრულიად უმცირესობათა „უმფროსად" ვინ გაამწესა? სხვათა შორის, „ევროპულმა საქართველომ" ის არა მხოლოდ პროპორციულ სიაში ჩასვა, მაღალმთიან აჭარაში (ქედა, შუახევი, ხულო) მაჟორიტარობის კანდიდატადაც წარადგინა იმ იმედით, რომ მუსლიმი მოსახლეობა მხარს დაუჭერდა. არ დაუჭირეს, უარყვეს, კანონმდებლად არ დაისვეს!

დეპუტატი ნაკაიძე პრინციპულობას აწვება, ხელისუფლება, კონსენსუსი და ეგეთი რაღაცები ფეხებზე მკიდია, თუ დაგვჭირდება, მესამე მეჩეთსაც ავაშენებთ, მეოთხესაც და მეხუთესაც, ჩვენ გადავწყვეტთ, რამდენი მეჩეთი გვჭირდება, მე ვარ და ჩემი ნაბადიო.

ბათუმში ნაკაიძის რუსულ-უკრაინული თამაში არავის უკვირს. როგორც ამბობენ, ამ ტიპისთვის მნიშვნელობა არ აქვს, „ფულებს" რუსები გადაიხდიან, ავღანელი თალიბები თუ უკრაინელი დევნილები, მთავარია, ფართი სარფიანად გააქირავოს.

მე დარწმუნებული ვარ, ხვალ აღტყინებული ნაკაიძე ისევ გამოვა ტელევიზორში და მოგვიყვება, თუ როგორ ბომბავენ რუსი ოკუპანტები მის მეორე სამშობლოს, უკრაინას... როგორ იღუპებიან ბავშვები კიევსა და სხვა ქალაქებში... როგორ ამორალურად იქცევა საქართველოს მთავრობა... როგორ რცხვენია სრულიად საქართველოს მოსახლეობას, რომ ვერა და ვერ გაიხსნა ჩვენი მხრიდან მეორე ფრონტი... ვერ გავაჩაღეთ აფხაზეთსა და ცხინვალში ომი... და ამ დროს სამი თითით რუსებს იმ ფულს გამოართმევს, ამას წინებზე რომ შეუთანხმდა.

დიახ, სწორედ ნაკაიძეზე ამბობენ ბათუმში და არა მხოლოდ ბათუმში, მთელ აჭარაში, ეგ ტიპი ყველაფერზეა ხელის მომწერიო. აჰა, ხომ მოაწერა კიდევაც?!

ტარიელი აღტყინებულია, დაფრინავს, ცხოვრებას ეთამაშება, ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, მეორე ფრონტის გახსნაზე ოცნებობს, ტარიელი არ დადის!

P.S. ავი ენები ამბობენ, ვინც საქართველოში ბევრს ყბედობს, ვინც რუსებს და პუტინს აგინებს, სწორედ ასეთები აქირავებენ ბინებს რუსებზე. კაი, გაქირავება არ არის პრობლემა, მაგრამ ძველ მოქირავნეებს რომ გაყრი და რუსებს შეიფარებ იმ მიზეზით, რომ უფრო მეტს იხდიან, ეს უკვე ჩათლახობაა!!!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

„ჩემო ერო, ნუ დაბრკოლდები, რამეთუ ცხოვნების გზა სიძნელეებთან ჭიდილია“

გვესაუბრება
გლდანის ივერიის
ყოვლდაწმიდა ღვთისმშობლის
სახელობის ეკლესიის
წინამძღვარი,
მამა ბასილი მკალავიშვილი

— მამაო, როგორც ვხედავთ, რუსეთ-უკრაინის ომში ორი ქრისტიანი ერი ერთმანეთს დაუპირისპირდა. როგორია თქვენი მოსაზრება ამის თაობაზე?

— შვილო ჩემო, სამწუხარო ფაქტი სახეზეა; თუმცა პოლიტიკოსი არ ვარ, შევეცდები სულიერი თვალთახედვით გიპასუხოთ. არ ვიცი, ამ ორ უდიდეს ქრისტიანულ ქვეყანას შორის კონფლიქტის მიზეზი კონკრეტულად რა გახდა, რა ვერ გათვალეს თავდამსხმელებმა თუ დამხვდურებმა, მაგრამ ეს არ არის ომი მოსაგებად, არამედ ეს არის მიზანმიმართული, მზაკვრული წაქეზება, ბოროტად შენიღბულ დაჯგუფებათა მიერ, რომელიც არაერთხელ განუხორციელებიათ. ამჟამად გამოუვიდათ, რამეთუ იღვრება სისხლი მშვიდობიანი მოსახლეობისა, პატარებისა. სწორედ ეს არის ბნელი ანტიქრისტიანული ძალების მიზანი — აღმოფხვრან ქვეყნებში მართლმადიდებელი სარწმუნოება და მოისრას ყოველივე, რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაიღუპოს, რამეთუ, მათი აზრით, ცოტაა მათი რაოდენობა, რომელნიც საეჭვოდ გავრცელებულმა მსოფლიო პანდემიამ იმსხვერპლა. ზოგიერთი მავნებლები მსოფლიოს მაღალი წრეებიდან უშფოთველად შესცქერიან ძმათამკვლელ ომს, მათი მიზანია, ჯერ დიდი ქვეყნები გაანადგურონ, რომ შემდეგ პატარა ქვეყნების მართვა ადვილი გახდეს. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, როცა ბატონი გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი გახდა, პრეზიდენტის მიერ აღებული მართვის კურსის შესახებ ამერიკის მეთაურმა ბუშმა — უმცროსმა განაცხადა: გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდისო, რამეთუ არ აწყობდათ სარწმუნოებრივი, ქრისტიანული მიმართულება ღვთივკურთხეული პრეზიდენტის მიერ აღებული.

პირდაპირ ვიტყვი: დღევანდელი ომი ბრძოლაა სარწმუნოების წინააღმდეგ, რომელიც, რაც დრო გავა, უფრო აქტიურ ფაზაში შევა, რათა ქრისტიანობა აღმოიფხვრას, რამეთუ ქრისტეს რწმენა და სჯული მათი დაუძინებელი მტერია. მაგრამ სარწმუნოებას ვერაფრით ერევიან, არც ეგების დამარცხება, რამეთუ ქრისტიანობა არს რწმენა იდენტობისა, მორალისა, ზნეობისა, ოჯახის სიწმიდისა, რომელიც ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით აკოწიწეს და ძეგლად აღგვიმართეს.

- მამა ბასილ, როგორც ვხედავთ, ამ პოლიტიკურ კონფლიქტში საქართველოს ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებს ე.წ. ოპოზიცია, რომლის ძირითადი ბირთვი ლიბერალები ბრძანდებიან. სანამდე შეიძლება მიიყვანოს ჩვენი ქვეყანა ლიბერალური ძალების წაქეზებამ?

— ჩვენ ვიწვნიეთ ომის საშინელება, როცა 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე დაიღვარა უმანკო გოგო-ბიჭების სისხლი; როცა 1990-იან წლებში სახელმწიფო გადატრიალებით დაინგრა ქალაქის გული; ჩვენს გულზე გადაიარა აფხაზეთის ომმა, ვიწვნიეთ ავადსახსენებელი 2008 წლის საშინელი კონფლიქტი, როცა პირტიტველა ბიჭები საარტილერიო ბომბდამშენების ქვეშ მიატოვეს და თვით თავის გადასარჩენად მიწაზე ხოხავდნენ. დავკარგეთ ისედაც ერთი ციცქნა ქვეყნის 20%, იქ ჩახოცილი ბიჭების გვამები დიდი გასაჭირის ფასად გამოიტანეს კონფლიქტის ზონიდან, როცა ეს უსინდისო ააკაშვილი საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ელჩებთან ერთად რუსთაველზე ზეიმობდა. იქნებ ახლა მაინც გვითხრას, რას ზეიმობდა — ომის წაგებას, ქვეყნის დაქუცმაცებას თუ ცხვირწინ აღმართულ მავთულხლართებს?

ამ გიჟ ააკაშვილს, რომელშიც ქრისტიანული არაფერი დევს, ნაცსექტა თავდაუზოგავად იცავს და ისედაც ეკონომიკურად დაბეჩავებულ ქვეყანას პროვოკაციებს უწყობს, ცდილობს, კვლავ ომის ჭაობში ჩაითრიოს და საერთოდ გაანადგუროს ქვეყანა. სექტის ლიდერი, პრეზიდენტოფილი კი უკვე აშკარად აცხადებს, რომ ქვეყანაში შემოძვრა არსებული ხელისუფლების დასამხობად: ნუთუ კანონმდებლობა არ არის იმ დონეზე, რომ ამ ტვინგამორეცხილ პრეზიდენტყოფილს პასუხი მოეთოვოს ჩადენილი დანაშაულებების გამო? ვინ მისცა იმის უფლება, გისოსებიდან რომ ილანძღება, სახელმწიფოს მართვის ბრძანებებს იძლევა, სასამართლო კოლეგია კი უსმენს?.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობას, მე მართლაც დავდებდი ბრალს, რომ ვერ გამოიყენეს კანონის ბერკეტები და 2012 წელს ნაციონალების კრიმინალურ დაჯგუფებას სათანადო ადგილი არ მიუჩინეს, რამეთუ, ეს ქვეყნის მტრები, იქამდე გაკადნიერდნენ, ხელისუფლების დაბრუნებას ლამობენ, რათა კვლავ გააგრძელონ ქართველი ხალხის წამება და ხოცვა-ჟლეტა, სწორედ ლიბერალების მიზანი და სურვილია ეს.

— რატომ უნდა უნდოდეთ ლიბერალებს ქართველი ხალხის განადგურება?

— ირანდა, გენაცვალე, გიცნობთ, როგორც გონიერ ჟურნალისტს და ძალიან გამიკვირდა ეს შეკითხვა რომ დამისვით. ლიბერალების ფრთა არის, უმეტესად, ლგბტ საზოგადოების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული. მათ ინტერესებში შედის ტრადიციული, ერისთვის მიუღებელი, ამორალური ქმედებების დემონსტრირება, მომავალი თაობის ცნობიერებაში მოახდინონ გარდატეხა და სიბილწის გზას გაუყენონ ისინი, რათა საბოლოოდ დაღუპონ. სწორედ ეს იყო ჩადებული ანტიდისკრიმინაციულ კანონში, რომელიც ზარზეიმით მიიღეს. ამ უკეთურებას მარტო ვებრძოდი წლების განმავლობაში. ისინი კი ცდილობენ წმ. ნინოსა და ანდრია პირველწოდებულის ფეხით მოვლილი მიწა-წყალი იბერიისა წაბილწონ. თქვენმა მკითხველმა კარგად იცის ყოველივე, რა გადავიტანე ამ ბრძოლაში. ახლა უკვე ასაკოვანი ვარ, ჯანმრთელობაშერყეული, მაგრამ სიცოცხლეს არ დავზოგავ, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვიბრძოლებ პროსტიტუციის, ნარკომანიის, ამორალიზმის, ყოველგვარი უკეთურების წინააღმდეგ.

— მამაო, ვიცი, აქტიურად ადევნებთ თვალს ტელევიზიებს, დამეთანხმებით, იქ, რომ იტყვიან, სულ სხვა სიო დაჰქრის?

— მე თვით შეგეკითხებით: ახლა საქართველოში მოქმედი ტელევიზიების ცქერა და მოსმენა მშვიდად შეიძლება? ყოველგვარ რეალობას, ადამიანობას, ზნეობას, მეობას მოკლებული, ეგზალტირებული, ფსიქიურად გაუწონასწორებელთა შესაკრებელია დღეს ქართული ტელევიზიების უმრავლესობაში. თავი განთლებულად, ყველაფრის მცოდნედ მოაქვთ, მაგრამ არ იციან საკუთრივ ოპოზიციონერობის არსი.

ინგა გრიგოლიას კანტორა პროვოკატორთა დაჯგუფებაა. ახლა მისი მთავარი მიზანია, საკაშვილის დახსნა დამსახურებული პატიმრობიდან. როგორც ჩანს, ქალბატონ გრიგოლიას დაავიწყდა ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა, ფეხშიშველო რომ დარბოდა ჩიხებში. ტელეკომპანია „ფორმულა“, გვარამიას ტელევიზია — აცდენილი არიან ყოველგვარ ზომიერებას. ესენი საშიშნი არიან ჩვენი ქვეყნისთვის, ჩასაფრებული მტრები ჯობს მაგათ, რამეთუ მტერი ვიცით, რომ მტერია, ესენი კი მოყვრობის ნიღაბს ამოფარებული მტარვალები არიან. 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობს დაუღალავი ანტისახელმწიფოებრივი, ბინძური პროპაგანდა. სად არის კანონი და ხელისუფლება, რატომ აწამლვინებენ ხალხს ამ ცრუ-მაუწყებლებს?!

— დემოკარტიაა მამაო...

— კი, ბატონო, დემოკრატიაა, მაგრამ „ალტ-ინფოს“ შემთხვევაში დემოკრატია აღარ არის? ვმადლობთ უფალს, რომ გამოჩნდა საქართველოში ტელევიზია, საიდანაც მხოლოდ სიმართლე იღვრება, ადამიანთა თანადგომა და არა ღალატი, ურთიერთგაგება და არა პროვოკაცია, სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი და არ მტრობა.

სწორედ ეს აღიზიანებს ინგა გრიგოლიას და მისთანებს. ნუთუ არ ფიქრობენ, რომ ყოველივეს ღმერთი განაგებს და ყველას მიაგებს დამსახურებისაებრ. ქალბატონ გრიგოლიას და მის თანამოაზრეს, რომელიც გვერდით უზის მუდმივად, ელისო კილაძეს ვგულისხმობ, „ალტ-ინფო“ და მართლის მთქმელი ადამიანები ყელში ჰყავთ გაჩხერილი. შეურაცხყოფენ და სიტყვიერად ავიწროებენ „ალტ-ინფოს“ წარმომადგენლებს. თურმე მარტო მათ უნდა ვუყუროთ და ვუსმინოთ. ესაა დიქტატურა, როცა ადამიანებს აზროვნების უნარს ართმევენ. დიახ, ქრისტიანობასთან ერთად ადამიანებსაც ებრძვიან.

— ამ რთულ ვითარებაში, როგორც მოძღვარი, რას მოუწოდებთ ქართველ ერს?

— ადრე თუ საკაშვილი იქცეოდა გამომწვევად და აღიზიანებდა რუსეთს, დღეს მთლიანად ნაციონალების სექტა ასრულებს იგივე როლს და ცდილობენ, რუსეთი ჯარით შემოვიდეს საქართველოში. ამისთვის ყველანაირ პროვოკაციაზე მიდიან. პირდაპირ ვაცხადებ: დასავლეთიდან დაფინანსებული და მართული ტელევიზიების დემაგოგია თუ არ აილაგმება, არაფერი დაწყნარდება. დიდი საშიშროების წინაშე ვდგავართ, ბოლო წლებში რამდენიმე საომარი კონფლიქტი რომ გადავიარეთ, ვინ გამოგვიწოდა დახმარების ხელი? არავინ. მარტონი ვიყავით მტრების წინაშე. საკმარისია, დაიღალა ხალხი, რომელ ერთ გასაჭირს გაუმკლავდეს?..

მივმართავ დღევანდელ მთავრობას, განსაკუთრებით ირაკლი ღარიბაშვილს, როგორც ქვეყნის ხელმძღვანელმა, ყოველი ღონე იხმარეთ, რათა აიკრძალოს ნაც. პარტიის სატანური სექტა და მათი „მოღვაწეობა“ საქართველოში. დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ ის გმირი ახალგაზრდები პატიმრობიდან, ერის სიწმიდის, ღირსების დაცვისთვის რომ არიან დაპატიმრებულნი. ეს რა სამართალია, მოღალატენი ქუჩაში დარბიან, ახალგაზრდა პატრიოტი ყმაწვილები კი გისოსებს მიღმა იტანჯებიან. მართლმადიდებლობის დევნას ჰგავს ეს და სიკეთეს არ მოუტანს ასეთი ქმედება არავის...

— მამაო, აკი პოლიტიკაში არ ერეოდით?

— შვილო ჩემო, დარწმუნებული ვარ, გეცოდინებათ თორნიკე ერისთავი, მთაწმინდელი, გაჭირვების ჟამს ბერის სამოსი რომ გაიხადა და ომში ჩაება. თუ მათ არ მივბაძეთ, სხვა ვინღაა სამაგალითო?

აღშფოთებული ვარ, ზელენსკისთვის ნობელის პრემია მიუნიჭებიათ მშვიდობის დარგში. ისტორია ყოველივეს იტყვის, მაგრამ რომელ ნობელის პრემიაზე საუბარი, როცა მისი დაუფიქრებელი პოლიტიკით ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე, ქალი და ბავშვი დაიხოცა? როგორც სასულიერო პირი, ასე მესახება, რომ ის სადამ ჰუსეინის ბედს გაიზიარებს, ქვეყანა აღგვილია პირისაგან მიწისა, უმანკო ბავშვებია, ხალხი, დახოცილი. ომის ეს ამაზრზენი შედეგები უკრაინის მართველის კისერზეა. თვით უკრაინელი ხალხი არ აპატიებს მას ამხელა მსხვერპლს.

უკრაინის მთავრობამ, რომელმაც სახელმწიფო დამნაშავე ააკაშვილი, კრიმინალი, თავის დროზე თავის მოღალატე გუნდთან ერთად მიიღო, თანამდებობი ჩამოურიგა და ახლაც დამნაშავე პატიმარს თანადგომას უცხადებენ, დიდი სულგრძელებაა საქართველოს მთავრობის მხრიდან მეგობრად მიიღო და შეჭირვების ჟამს მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინო ასეთ მმართველს. თუმცაღა ბოროტება სიკეთით ნაზღაურდება. ზელენსკის მფარველები, ნაცვლად იმისა, რომ სამშვიდობო მისიით ჩადგნენ რუსეთსა და უკრაინას შორის და მოლაპარაკებით შეწყვიტონ სისხლისმღვრელი ომი, პირიქით, იარაღით ამარაგებენ, აგულიანებენ. კიდევ ვიმეორებ, აქ გამარჯვებული არავინ გამოვა. ორივენი დამარცხებულნი იქნებიან ღმერთის წინაშე.

მოვუწოდებ ჩემ ხალხს - დავაგვიანეთ გამოფხიზლება, მაგრამ არაუშავს, ჩვენ ვადგავართ ქრისტეს გზას მისი რწმენით.

ჩემო ერო, ნუ დაბრკოლდები, რამეთუ ცხოვნების გზა სიძნელეებთან ჭიდილია. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში სატანა ფეხს ვერ მოიკიდებს. დიდი რუსი წმიდა მამა სერაფიმ საროველი ბრძანებს: „ბოლოჟამს იბერია გაბრწყინდება და უფლის ტრაპეზზე ღვინო საქართველოდან მოვა“. დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მსოფლიოს ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი ემუქრება

„...მსოფლიოში ათწლეულობით ნაშენები ფინანსურ-ეკონომიკური სისტემის ნგრევის პროცესი დაიწყო“, — აცხადებენ ეკონომიკურ საკითხებზე მომუშავე ევროპელი ექსპერტები. მათივე თქმით, ამით მესამე მსოფლიო ომი არ დაიწყება, მოხდება რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის განადგურება. საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის თქმით, სამყარო სასურსათო კრიზისის პირას დგას. აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გულახდილად თქვა: „მსოფლიოში მოსალოდნელი შიმშილი რუსეთისთვის დაწესებული ეკონომიკური სანქციების გამოძახილია“.

ეკონომიკური ვითარება, განსაკუთრებით ევროპაში, მას შემდეგ გაუარესდა, რაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა დააანონსა — მათი სახელმწიფოს არამეგობარ ქვეყნებს ნავთობისა და ბუნებრივი აირის შესაძენად რუსული რუბლით მოუწევთ ანგარიშსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში, მიწოდება შეუწყდებათ. „უფასოდ ჩვენ არავინ არაფერს გვაძლევს. არც ჩვენ ვაპირებთ ქველმოქმედებას. თუ უარს იტყვიან რუბლით ანგარიშსწორებაზე, მოვიქცევით საყოველთაოდ მიღებული წესებით“, — განაცხადა პუტინმა. დადგენილება ძალაში 1 აპრილიდან შევიდა. დასვენების დღეების გამო ჯერ უცნობია, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ევროპის ქვეყნები, რომლებიც რუსეთისგან იღებენ გაზს. თუმცა აშკარად დაბნეულები არიან.

საჯილდაო ქვად იქცა ევროკავშირის და ნატოს წევრ ქვეყნებს შორის რუსეთისთვის დაწესებული სანქციები. რამდენიმე ქვეყანა წინააღმდეგია სანქციების, ნაწილი არაეფექტურად მიიჩნევს. მათ შორის ჯო ბაიდენი: „სანქციები რუსეთის შესაკავებლად ნაკლებად იქონიებს გავლენას, მაგრამ მაინც უნდა დავუწესოთ“. თეთრ სახლშიც ადასტურებენ სანქციების არაეფექტურობას. გავრცელებული ანონიმური ინფორმაციით, თანამშრომლების ნაწილი ურჩევს ბაიდენს, უარი თქვას უკვე დაწესებულ სანქციებზე, რადგან აშშ-შიც არის საწვავზე კრიზისის ნიშნები, საგრძნობლად გაიზარდა ფასები. ბაიდენი იძულებული შეიქნა, საგანგებოდ მიემართა მოსახლეობისადმი. მისი განცხადებით: „...კრიზისი პუტინის მიერ უკრაინაში დაწყებულმა ომმა გამოიწვია. დადგა დრო, მივაღწიოთ ამერიკის ენერგოდამოუკიდებლობას. ამიტომ სრულიად შევწყვეტთ რუსეთისგან ნავთობპროდუქტების შეძენას. აშშ-ში ბენზინზე ფასების გაზრდა პუტინის დამსახურებაა!“ მისივე თქმით, ქვეყანაში უნდა გაიზარდოს ნავთობის მოპოვება. მანამდე ყოველდღიურად 1 მლნ ბარელ ნავთს გაიტანენ ბაზარზე სტრატეგიული მარაგიდან. სტრატეგიული მარაგის გახსნაზე თანხმობა კიდევ 30-მა ქვეყანამ განაცხადა. მიმომხილველებმა გაიხსენეს, რომ ბაიდენმა პრეზიდენტად მოღვაწეობა კანადიდან აშშ-ში შემომავალი ნავთობსადენის მშენებლობის გაჩერებით დაიწყო. შედეგად, ერთბაშად 30 ათასი ადამიანი დარჩა უმუშევარი. „რომ არა ნავთობსადენის მშენებლობის გაჩერება, კრიზისს ავიცილებდით. იმ რაოდენობის ნავთობს, რაც გაუქმებული ნავთობსადენიდან უნდა მიგვეღო, ახლა რუსეთისგან ვყიდულობთ, რაც კიდევ 45 დღე გაგრძელდება“, — ამტკიცებენ ამერიკელი ექსპერტები.



როგორ გადანაწილდება ადგილები სენატსა და კონგრესში, შემოდგომით შუალედური არჩევნების შემდეგ, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რესპუბლიკური პარტია სულ უფრო მეტ მხარდამჭერებს იძენს. ბაიდენს განსაკუთრებით მისი წინამორბედი დონალდ ტრამპი აკტრიტიკებს: „ბაიდენმა მოკლა ამერიკული ოცნება. იგი ყველაზე ცუდი პრეზიდენტია აშშ-ის ისტორიაში“, — განაცხადა ტრამპმა.

ეკონომიკურის გარდა, ამერიკელი პოლიტოლოგები ბაიდენის საგარეო პოლიტიკითაც არიან შეშფოთებულები. მათი შეფასებით, პრეზიდენტის არაადეკვატურმა პოლიტიკამ, შესაძლოა, სამყარო ბირთვულ ომამდე მიიყვანოს. პოლიტოლოგებისთვის დღემდე გაუგებარია ბაიდენის ევროპული ვოიაჟი, სადაც ერთბაშად სამ სამიტში მიიღო მონაწილეობა, რომლებიც უშედეგოდ დასრულდა. ყოველივეს დაემატა შვილის, ჰანტერ ბაიდენის უცხოეთში საეჭვო ბიზნესებში მონაწილეობა. რესპუბლიკელი კანონმდებლები ითხოვენ, დეტალურად შეისწავლონ ყველა ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია ჰამტერის უცხოეთში ბიზნესსაქმიანობასთან. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ ბაიდენის ადმინისტრაციამ ვერ შეძლო არაბული ქვეყნების დაყოლიება ნავთობის მოპოვების გაზრდაზე. სტრატეგიული მარაგი, რომლის გახსნასაც აპირებს ბაიდენი, უხეში გათვლებით, შესაძლოა, 6 თვეში ამოიწუროს, შუალედურ არჩევნებზე (7 თვეში) აშშ ნავთობის სტრატეგიული მარაგის გარეშე მივიდეს, რაც დემოკრატებისთვის გამანადგურებელი დარტყმა იქნება. თუმცა თავად ჯო ბაიდენი ოპტიმისტურად არის განწყობილი. საგანგებო მიმართვისას მან განაცხადა: „...გავიხსენოთ ჩვენი ისტორია. აშშ-მ მსოფლიოს ყველა ომში სარგებელი მიიღო, მდიდარი ქვეყანა გახდა. ახლაც ცოტა მოვითმინოთ“.



განსაკუთრებული ყურადღება გასულ კვირას აზიის რეგიონისკენ იყო მიპყრობილი. ჩინეთი და ინდოეთი ორი წელი ერთმანეთთან უბრად იყვნენ. მარტის ბოლოს გადალახეს პოლიტიკური უთანხმოება და ინდოეთში ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩავიდა. შეხვედრის შემდეგ ერთობლივი ბრიფინგიც გამართეს. მინისტრები მიესალმებიან ქვეყნებს შორის პერქსპექტივაში ეროვნულ ვალუტებში ანგარიშსწორებას. შეშფოთება გამოთქვეს რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გამო, რადგან ეს უარყოფით გავლენას ახდენს მსოფლიოს ეკონომიკაზე. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში ინდოეთში ჩავიდა დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო დელეგაცია, მაგრამ ინდოეთის ოფიციალურმა პირებმა უარი თქვეს მათთან შეხვედრაზე. მეტიც, სთხოვეს, რომ აღარ ჩავიდნენ...

ნაყოფიერად შეაფასეს ევროპელმა ექსპერტებმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის აზიური ტურნე. თავდაპირველად იგი ჩინეთში ჩავიდა, სადაც მონაწილეობა მიიღო ავღანეთის მეზობელი ქვეყნების მინისტერიალში. შეხვედრაზე აღნიშნეს ავღანეთის სტაბილიზაციისკენ წინ გადადგმული ნაბიჯები. თუმცა მინისტრებმა ერთხმად განაცხადეს, რომ ქვეყანას სჭირდება მეზობლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა არსებული კრიზისული სიტუაციის დასაძლევად. ჩინეთში ლავროვი პირისპირ, დახურულ კარს მიღმა შეხვდა მასპინძელ კოლეგას ვან ი-ს. რა თემებზე ისაუბრეს მინისტრებმა, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება მწირი ინფორმაციიდან გამომდინარე. ექსპერტები მიიჩნევენ, შეხვედრისას განსახილველი ერთ-ერთი მთავარი თემა ეროვნულ ვალუტებში ანგარიშსწორებაზე გადასვლა იყო. არ გამორიცხავენ, განეხილათ რუსეთის მიერ ნავთობისა და გაზის მიწოდების მოცულობის გაზრდა, ფასები და, რაც მთავარია, სამხედრო სამრეწველო სფეროში თანამშრომლობა. თუმცა მინისტრებმა კითხვაზე პასუხს თავი აარიდეს. ლავროვის ვიზიტის შემდეგ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, სადაც ნათქვამია: „...საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მალევე უნდა მომხარიყო ნატოს ალიანსის ლიკვიდაცია“, როგორც ცივი ომის პროდუქტისა“.

ჩინეთიდან ლავროვი ინდოეთში ჩავიდა. კოლეგის გარდა, იგი ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ნარენდრო მოდის შეხვდა. იშვიათი შემთხვევაა, როდესაც იქაური პრემიერი მასზე დაბალი რანგის ჩინოვნიკს ხვდება პირისპირ. მისი ვიზიტი ინდოელებმა ნაყოფიერად შეაფასეს. რატომაც არა, გავრცელებული ინფორმაციით, ინდოეთი უფრო მეტი რაოდენობის ნავთობს მიიღებს ფასდაკლებით. ლავროვის ვიზიტისას ინდოეთში ჩავიდნენ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ელიზაბეტ ტრასსი და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ვიქტორია ნულანდი. მათი ვიზიტის მიზანი იყო, დაეყოლიებინათ ქვეყნის ხელისუფლება, არ ითანამშრომლონ რუსეთთან. ეს ტელევიზიით გამოსვლისას ღიად თქვა ნულანდმა. მათი მცდელობის შედეგები ჯერ უცნობია.

საქართველოდან ელჩის გაწვევით ზელენსკიმ პირდაპირ გვითხრა, ჩემი მტრის მტრები ხართ, მაგრამ ჩემი მეგობრები მაინც არ ხართო. საინტერესოა, არის კი ზელენსკისთვის რუსეთი მტერი? საერთოდაც, ისტორიული ფაქტია – უკრაინელი იყო საბჭოეთის ის მმართველი ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც საქართველოს მოსახლეობას აღმოსავლეთ (!) ციმბირში უპირებდა გადასახლებას. საამისოდ რკინიგზის სატვირთო ვაგონებიც ჰქონდა უკვე გამზადებული საქართველოს რამდენიმე წერტილში. ეს ისე, ცნობისთვის...

გია ბურდული
551 71 27 07

მომავლის ისტორია

გინდა იყო ბედნიერი? გახდი დანომრილი მომთაბარე მონა!

ჟაკ ატალი ფრანგი მემარცხენე პოლიტიკოსი, ეკონომისტი, სოციალური თეორეტიკოსი და მწერალია. სხვადასხვა დროს ატალი საფრანგეთის პრეზიდენტის მრჩეველი, რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის ხელმძღვანელი, საფრანგეთის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმის ავტორი და საფრანგეთის ეკონომიკის განვითარების კომიტეტის წევრი იყო. ატალი ორმოცდაათზე მეტი წიგნის ავტორი და ტექნოლოგიების განვითარების ევროპული პროგრამის EUREKA-ს თანადამფუძნებელია. ატალიმ აღიარება 1981 წელს მოიპოვა, როდესაც ის პრეზიდენტ ფრანსუა მიტერანის მრჩეველი გახდა. 1991 წლის აპრილში ის რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის პირველ პრეზიდენტად გვევლინება. ატალი - ერთ-ერთი ფიგურანტია ანგოლისთვის იარაღის უკანონოდ მიყიდვის საქმეში („ანგოლაგეიტი“). ამბობენ, რომ ატალიმ დიდი გავლენა მოახდინა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონზე. მის საქმიანობაში შეიმჩნევა გლობალიზაციის ფანატიკური იდეოლოგის ჟაკ ატალის მკაფიო გავლენა. (ემანუელ მაკრონი 2007-2008 წლებში საფრანგეთის ეკონომიკური ზრდის კომისიის მომხსენებლის მოადგილის თანამდებობაზე მუშაობდა.) ალჟირელ ებრაელ-სეფარდისტთა შთამომავალის, ჟაკ ატალის ფილოსოფია დადის იმ აზრამდე, რომ ფულის ყოვლისშემძლეობა - ყველაზე სამართლიანი საზოგადოებრივი წესრიგია, ხოლო გლობალიზაციის მიერ ნაშობ „მსოფლიო ნომადისტთა“ (მოხეტიალეთა.) თემი გადაჭრით უნდა იქნას მოკვეთილი თავისი ეროვნული ფესვებიდან. ჯერ კიდევ 1979 წელს ფართო პუბლიკისთვის ნაკლებად ცნობილმა ჟაკ ატალიმ, საფრანგეთის ტელევიზიით გამოსვლისას, გადმოსცა თავისი კონცეფცია „ჯანმრთელობის დიქტატურა“: „ჩვენ დავამყარებთ დიქტატურის აბსოლუტურ ფორმას, რომლის დროსაც ყოველი ისურვებს ნებაყოფლობით („თავისუფლად“) შესაბამებოდეს დაწესებულ ნორმებს. საჭიროა, რათა ყოველმა ნებაყოფლობით („თავისუფლად“) მიიღოს მონის სტატუსი... ტოტალიტარული საზოგადოების ეს ახალი ფორმა იქნება მედიცინის მეშვეობით, სიკეთისა და ბოროტების მისაღები ცნებებით, სიკვდილისადმი დამოკიდებულებით“. უკვე მაშინ ატალი გამოვიდა წინადადებით შემოეღოთ სპეციალური „ჯანმრთელობის პასპორტები“ ადამიანებზე კონტროლის დასაწესებლად.

ატალი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმაზე, რომ სახელმწიფო მოღვაწეებმა და პოლიტიკოსებმა ხელიდან გაუშვეს შესანიშნავი შესაძლებლობა დაეწყოთ მსოფლიო გარდაქმნა, რომელსაც გლობალური ფინანსური კრიზისი და ღორის გრიპი იძლეოდა (პუბლიკაციის მომენტისთვის ერთისა და მეორის პიკები უკვე გავლილი იყო). ახლა, აღნიშნავდა ატალი, უნდა ველოდოთ მომდევნო კრიზისს და შემდეგ ეპიდემიას.“დიდი პანდემია უფრო წარმატებულად დაარწმუნებს ადამიანებს ალტრუიზმის აუცილებლობაში, ვიდრე ნებისმიერი ჰუმანიტარული ან ეკოლოგიური ქადაგება...“ - ირწმუნებოდა ატალი. „ალტრუიზმში“ კი იგულისხმებოდა ადამიანების მზადყოფნა წასულიყვნენ მსხვერპლზე და თვითშეზღუდვაზე „კაცობრიობის ინტერესების სასარგებლოდ“. ატალი მოუწოდებდა „ჭკუა უნდა ვისწავლოთ, რათა მომდევნო გარდაუვალი მოვლენისთვის შეიქმნას კონტროლისა და თავიდან აცილების მექანიზმები, ასევე ლოგისტიკური მექანიზმები წამლებისა და ვაქცინების სამართლიანი გადანაწილებისთვის. ამის განსახორციელებლად ჩვენ მოგვიწევს გლობალური პოლიციის, გლობალულრი საცავის (სავარაუდოდ, მედიკამენტებისა და ვაქცინების ცენტრალიზებული მარაგის) შექმნა, და შედეგად, გლობალური დაბეგვრისაც“. რისთვის? - პასუხი ძალიან მარტივია: „მაშინ უფრო მალე შევძლებთ ნამდვილი მსოფლიო მთავრობის ფუნდამენტის ჩაყრას“. ეს ითქვა ცამეტი წლის წინათ. და აი მოურჯულებელი გლობალისტის იდეები, რომლებიც იდეოლოგიურად ახლოსაა კლაუს შვაბის იდეასთან, უკვე ცხოვრებაში ხორციელდება. 2020 წელს ატალიმ პრესას მისცა რამოდენიმე ინტერვიუ, რომლებიდანაც ჩანს, რომ ის ძალიან კმაყოფილია მიმდინარე მოვლენებით („პანდემია“, პლანეტარული ლოკდაუნი, „დიდი გარდაქმნის“ გეგმის პუბლიკაცია და სხვა). ატალი იმედოვნებს, რომ პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულამდე იქნება მიყვანილი, ანუ - შეიქმნება ღიად მოქმედი მსოფლიო მთავრობა.

ატალის წიგნი „მომავლის მოკლე ისტორია“ უახლოეს ნახევარ საუკუნეში მსოფლიოს განვითარების პროგნოზია. პირველ ეტაპზე (2025 წლამდე) აშშ დაკარგავს მსოფლიო ლიდერის როლს, და აშშ-ში დაიწყება შიდა კონფლიქტები, ქვეყანა ჩვეულებრივ და უფერულ სახელმწიფოდ გადაიქცევა. ჩინეთის მცდელობა, და შეიძლება ევროპისაც, „ჩაანაცვლონ“ ამერიკა წარმატებით ვერ დასრულდება. გაძლიერდება ტრანსნაციონალური კომპანიების გავლენა, ყველა ისინი სულ უფრო და უფრო მოშლიან ეროვნული სახელმწიფოების საძირკვლებს, და მოახდენენ სახელმწიფოების პრივატიზებას. ყველაფერი, - გვპირდება ატალი, - დიდი, გაწელილი და მძიმე მსოფლიო ომით დამთავრდება, და მხოლოდ ამის შემდეგ აღმოცენდება ახალი სამართლიანი წესრიგი. მაგრამ ეს წესრიგი ატალის ბუნდოვნად წარმოუდგენია, თანაც მომავალი „სამოთხის“ გარანტიასაც ვერ იძლევა. დღეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების კონტექსტში, ატალი მოითხოვს შემდეგ მდგომარეობებს, დღეისთვის ადამიანი რაც უფრო მეტ „ალტრუიზმს“ გამოავლენს (ანუ დათანხმდება შეზღუდვებს), მით უფრო მეტი შანსია, რომ მომავალი ომი განსაკუთრებით მძიმე არ აღმოჩნდება და კაცობრიობაც სასურველ „სამოთხეს“ იხილავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაემორჩილეთ იძულებებს და ბედნიერები იქნებით.

ფრანგი იდეოლოგი არ მალავს სიხარულს იმის გამო, რომ მსოფლიოს გარდაქმნა კორონაპანდემიის პირობებში წარმატებით მიმდინარეობს. მისი თქმით, ორნახევარ მილიარდზე მეტი ადამიანი ერთ საათში გადაერთო დისტანციურ მუშაობაზე. აქედან გამომდინარე, არსებობს იმედი, რომ კაცობრიობა ასევე მშვიდად მიიღებს სხვა ნოვაციებს. ახლა ყველაზე მთავარია - ზეწოლა მოხდეს სახელმწიფო მმართველებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ძილ-ბურანში არიან. ატალი უკმაყოფილოა იმით, რომ მკაცრი წესრიგის შემოტანის ნაცვლად ხელისუფლებები კრიზისის შემსუბუქებას ეკონომიკის ფულადი გაბერვით ცდილობენ. ეს კი ხელს უშლის რადიკალურ გარდაქმნას.

ჟაკ ატალის გეგმაში „სიცოცხლის ეკონომიკა“ მეზობლობს „ომის ეკონომიკასთან“. მას არ გააჩნია „ომის ეკონომიკის“ მკაფიო განსაზღვრება, მაგრამ ეს მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ცნებაა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ომის ეკონომიკის“ ქვეშ ეკონომიკის იმ მოდელის სრულ ლიკვიდაციას გულისხმობს, რომელსაც ჩვეულებრივ „ლიბერალურს“, ანუ „საბაზროს“ უწოდებენ. სადაც ბაზარია, იქვეა დემოკრატიაც, ხოლო დემოკრატიის პირობებში საზოგადოების რადიკალური გარდაქმნები შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა დიქტატურა. თავის მთელ რიგ წიგნებსა და სტატიებში ჟაკ ატალი მიგვანიშნებს, რომ მობილიზაციური ეკონომიკის მოდელი, რომელიც მესამე რეიხში შეიქმნა, თანამედროვე პირობებშიც იმსახურებს გამოყენებას.

ატალის აზრით, - ყველაზე დიდი პანდემია ყოველგვარ ჰუმანიტარულ და ეკოლოგიურ დისკურსზე მეტად შეუწყობს ხელს ალტრუიზმის აუცილებლობის გაცნობიერებას. უნდა ჩამოვაყალიბოთ გლობალური პოლიცია, გლობალური საწყობი და გლობალური დაბეგვრა. ამ გზით ბევრად უფრო მალე ჩაეყრება საფუძველი რეალურ მსოფლიო მთავრობას, ვიდრე ეს მხოლოდ ეკონომიკური გონიერებიდან გამომდინარე შეიძლება, მომხდარიყო. ფაქტია, რომ საფრანგეთში ნამდვილი სახელმწიფოს შექმნა მე-17 საუკუნეში საავადმყოფოთი დაიწყო. შუალედური დროის მონაკვეთში ჩვენ შეგვეძლო ამ თემასთან დაკავშირებული ნამდვილი ევროპული პოლიტიკის იმედი გვქონოდა. მაგრამ ბრიუსელი ამ საკითხთან დაკავშირებითაც დუმილს ამჯობინებს ისევე, როგორც ბევრ სხვა თემასთან დაკავშირებით. ჟაკი ღიად ამტკიცებდა „პლანეტარული პოლიტიკური ძალის“ შექმნის აუცილებლობას. ახალი მსოფლიო წესრიგი, ან, როგორც ატალმა უწოდა, სავაჭრო წესრიგი, გახდება უნივერსალური 2000 წლისთვის. XXI საუკუნის დასაწყისისთვის, „ჯადოსნური“ რიცხვი 2000 შეიცვლება 2010 წელს. ატალი ავლენს სამყაროს კულისებში სამყაროს დომინირების სამი დონის მცდელობას, საუბრობს სამი სახის წესრიგზე, „ძალადობის ორგანიზების სამ გზაზე“: კაცობრიობის კოსმოპოლიტიზაცია არის მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი კულისებში. როგორც ატალი წერს, „მომთაბარეობა იქნება ახალი საზოგადოების უმაღლესი ფორმა, ის განსაზღვრავს ცხოვრების წესს, კულტურულ სტილს და მოხმარების ფორმას“.

ადამიანი (მომთაბარე), როგორც ობიექტი, - წერს ატალი, - იქნება მუდმივ მოძრაობაში, მისამართის და სტაბილური ოჯახის გარეშე. ის საკუთარ თავში განაგრძობს იმას, თუ რაში გამოიხატება მისი სოციალური ღირებულება, ანუ რას ჩადებენ მასში მისი პლანეტარული „განმანათლებლები“ და სად მიაჩნიათ საჭიროდ მისი ყოფნა.

ატალის აზრით, ადამიანზე ზეწოლა იქნება ისეთი, რომ მას ექნება მხოლოდ ერთი არჩევანი: „ან მომთაბარე საზოგადოებასთან მორგება, ან მისგან გარიყვა“. „კანონის რიტმი, - ამბობს ატალი, - იქნება ეფემერული (ილუზორული სამყაროს შექმნა ტელევიზიის და ვიდეოს დახმარებით.), სურვილის უმაღლესი წყარო იქნება ნარცისიზმი (თვითკმაყოფილება, საკუთარი თავის სიამოვნება). ნორმალური ყოფნის სურვილი (ტიპიური, როგორც ყველას) გახდება სოციალური ადაპტაციის ძრავა. უკვე ახლა, მსოფლიოს ლიდერები კულისებში ქმნიან მექანიზმებს კაცობრიობაზე გლობალური კონტროლისთვის. უმაღლესი მეცნიერული და ტექნიკური მიღწევები მათ ხელში გადაიქცევა მსოფლიო ისტორიაში ყველაზე სასტიკი მონობისა და ჩაგვრის დამკვიდრების საშუალებად. ამ „სამუშაოს“ ავანგარდი არის შეერთებული შტატები.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

ასტრალში გასული ბატონი ხუხას „წინასწარმეტყველური“ ხილვები

„ეკონომიკურთან ერთად ზნეობრივად, მორალურად, ემოციურად, კულტურულად და პოლიტიკურადაც გავღარიბდით...

პრემიერიც შესაბამისი გვარის გვყავს“, — ბრძანა ანალიტიკოსმა გია ხუხაშვილმა, რომელიც ადრე „ექსპერტი“ იყო, მაგრამ ახლა დაუწინაურებიათ და ანალიტიკოსი გამხდარა.

დაჯდება ხოლმე ეს „ანალიტიკოსი“ ხუხაშვილი გადაცემა „360“-ის ეთერში და აფრქვევს და აფრქვევს სიბრძნეებს, გადაცემის წამყვანი ტუხიაშვილი კი მიამიტურად ახამხამებს წამწამებს და ისეთი ყურადღებით და მოწიწებით უსმენს ხუხაშვილს, გეგონება, წინ მუცლითმეზღაპრე „ხუხა“ კი არა, თავად ბისმარკი ეჯდეს.

ხუხაშვილი რომ ლაპარაკობს, შეიძლება იფიქრო, რომ ასტრალშია გასული, ხილვები აქვს და ვიღაც უჩინარი კარნახობს ამ „წინასწარმეტყველურ“ აზრებს.

„მე ვიცი, რომ არაფერი ვიცი“, — ამბობდა სოკრატე,

ამან კი, ხუხაშვილმა, ყველაფერი ზედმიწევნით კარგად „იცის“ — პოლიტიკაც, ეკონომიკაც, ჟურნალისტიკაც, ხელოვნებაც, თუმცა მის საუბარს დაკვირვებით თუ მოუსმენთ, აღმოაჩენთ, რომ ამ ყველაფრისმ-

ცოდნე ხუხაშვილმა, ღრმად და საფუძვლიანად, საბოლოო ჯამში, არაფერი არ იცის.

მას მხოლოდ ზერელე და ზედაპირული წარმოდგენა აქვს იმ საკითხებზე, რაზეც ასე დამაჯერებლად ლაპარაკობს და ტუხიაშვილს და მის მსმენელებს მოხერხებულად ატყუებს.

ბატონო ხუხაშვილო, დღეს რომ ლაპარაკობთ სიღარიბეზე და პრეიმერს გვარს უწუნებთ, ასეთი ჭკვიანი, ასეთი განსწავლული, ასეთი ყოვლისმცოდნე თუ ბრძანდებოდით, „ქართულ ოცნებაში“ არ იყავით მთელი ერთი წელი — გამოგეყენებინათ ეს თქვენი დიდი განსწალულობა და აგეყვავებინა საქართველო.

იმ ერთი წლის განმავლობაში თქვენ არ ალაგებდით „პალაჟენიებს“ ქართულ ბიზნესში და ქართულ ეკონომიკაში? ერთი ხეირიანი საქმე თუ გააკეთეთ, რომელიც ქვეყანას რამეში წაადგებოდა?!

იჯექით მორჭმით კეზერაშვილის „პიქსელში“ და ჟურნალისტები რომ გეკითხებოდნენ, აქ რა გინდათ, არ იცით, ეს ვისი ოფისია, იქნებ, ორიოდე სიტყვა გვითხრათ კეზერაშვილზე, მართალია, რასაც მასზე ამბობენო? მაშინ სიტყვას ბანზე უგდებდით შემკითხველს და უტიფრად პასუხობდი: კეზერაშვილს საერთოდ არ ვიცნობ და არც მის ჩადენილ დანაშაულებებზე მსმენია რამეო.

ასე გრძელდებოდა მთელი ერთი წელი, მხოლოდ მას შემდეგ, რაც კეზერაშვილმა თავისი ბიზნესსაქმეები ბოლომდე მოაგვარა, ჩაჯდა თვითმფრინავში და ისრაელში, ბენ-გურიონის აეროპორტში მშვიდობიანად დაეშვა, მხოლოდ ამის შემდეგ ატეხა ხუხაშვილმა ყვირილი — ბანდიტია კეზერაშვილი, მილიონები კი არა მილიარდები აქვს წაგლეჯილი სახელმწიფოსთვის, დაიჭირეთ და დააპატიმრეთო.

ერთადერთი „მნიშვნელოვანი“ რამ, რაც ხუხაშვილმა ხელისუფლებასთან ახლოს ყოფნის დროს საკუთარი თავისთვის გააჩალიჩა, ეს იყო „საქართველოს განვითარების ფონდი“, სადაც, რამდენადაც ვიცით, ძალიან სერიოზული თანხები ჩაირიცხა, თუმცა ხუხაშვილის მიერ განვითარებული საქართველო არავის უნახავს და არც იმ მილიონებისთვის მოუკრავს ვინმეს თვალი.

კიდევ ერთი დიდი „დამსახურება“ აქვს ხუხაშვილს საქართველოს წინაშე — ვისაც ხელისუფლებაში მოსვლაში დაეხმარა, ყველა უვარგისი აღმოჩნდა.

„ქართული ოცნებიდან“ წასვლის შემდეგ ხან ვისთან სცადა მიკედლება და ხან ვისთან, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდა, ექსპერტობა და ანალიტიკოსობა დაიწყო და შეფარვით, ისე, რომ ვერავინ ვერაფერი შეატყოს, ხან „ნაცმოძრაობის“, ხან „ლელოს“, ხან გახარიას წისქვილზე ასხამს წყალს.

ცნობისმოყვარე ჟურნალისტები ხშირად ეკითხებიან ხოლმე: თქვენ ხომ მთელი ერთი წელი იყავით ბიძინა ივანიშვილის გვერდით?! ასე რომ, კარგად იცნობთ მას, მისი ხასიათის თავისებურებებს, გვიამბეთ რამე მის შესახებ.

ხუხაშვილიც მარჯენა თვალს მარცხნივ გადაატრიალებს, მარცხენას მარჯვნივ და ჰყვება და ჰყვება ისტორიებს — თუ რა კარგად იცნობს ბიძინა ივანიშვილს.

ტყუით, თქვენ, ბატონო „ხუხა“, თქვენ გეჩვენებათ, რომ იცნობთ, მაგრამ სინამდვილეში, არ იცნობთ ბიძინა ივანიშვილს, სამაგიეროდ, ის გიცნობთ კარგად და ამიტომაც გამოგაგდოთ კინწისკვრით „ქართული ოცნებიდან“.

რაც შეხება ქვეყნის ზნეობრივ, მორალურ და პოლიტიკურ გაღარიბებას, რასაც თქვენ ჩვეული ცინიზმით პრემიერის გვარს უკავშირებთ, თქვენ რომ მართლაც საქართველოს ნამდვილი გულშემატკივარი იყოთ, ამ სისულელეს და სიცრუეს კი არ იტყოდით, აუცილებლად აღნიშნავდით იმას, რომ არასოდეს ყოფილა საქართველოს მთავრობა ისეთი პრინციპული და ქართული სახელმწიფოს და ქართველი ხალხის ინტერესებზე ორიენტირებული, თუ გნებავთ, პოლიტიკურად, მორალურად, ზნეობრივად ისეთი მტკიცე, როგორც ეს თქვენგან გვარდაწუნებული (ისე უწუნებთ გვარს ბატონ ირაკლის, თითქოს თქვენ ბაგრატიონის გვარისა იყოთ...) პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის, დროს არის, მაგრამ არ გიხარიათ, თქვენ, ეს, რადგან „ქართული ოცნების“ მიმართ გულში ჩადებულ ბოღმას ვერ ინელებთ და, ნებსით თუ უნებლიეთ, ძალიან გინდათ, რომ ქვეყენაში ყველაფერი ცუდად იყოს.

ხუხაშვილის შესახებ თხრობას აქ ვწყვეტთ, თუმცა პირობას ვდებთ, მის „საგმირო“ საქმეებზე „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომრებში აუცილებლად გავაგრძელებთ საუბარს.

ვახტანგ ხარჩილავა

დილარ ივარდავას ხსოვნას



არა მარტო პოეტი, სიცოცხლის ბოლომდე მართალი ერისკაცი, ვისთვისაც, მაშინ დაიქცა ქვეყანა, როცა 1992 წლის 6 იანვარს, ზვიად გამსახურდიას მთავრობასთან ერთად, საქართველოც დაამხეს, ეახლა უფალს!

მე და ჩემს ოჯახს, საიდუმლო არქივიდან ამოღებული წერილის ამონარიდი შემოგვრჩა, რომელსაც ბატონი დილარ ივარდავა აწერდა ხელს:

„დავით ქობალია გამოუშვით პატიმრობიდან, ოთხი შვილი, მათ შორის ოთხი თვის უმცროსი დავითი ელოდება სახლში, მეშვიდე დღეა ბავშვებმა არ იციან მამა ცოცხალი ჰყავთ თუ არა!

გაათავისუფლეთ იგი, მე ჩავჯდები მის მაგივრად, სანამ დაადგენდეთ, რომ იგი დამნაშავე და ავის მქმნელი არ არის!“

ამონარიდს წერილიდან, რომლის გამოქვეყნების უფლებას ბატონი დილარი არ მაძლევდა, მორატორიუმის ვადა მისი ზეციურ საქართველოში გადაბარგების წუთიდან გაუვიდა!

1992 წლის 23 ივნისს, ქვეყნის დამაქცევართა მიერ ტელევიზიაში მოწყობილი მზაკვრული ხაფანგის კვალდაკვალ, 1500-ზე მეტ უსაფუძვლოდ დაპატიმრებულთა შორის მეც მოვყევი.

ჩემი გვარის და ცხოვრების წესით ნაცხოვრებს, მცირე შანსი მქონდა თავი დამეღწია მაშინდელი, ქვეყანას შესეული ურდოს მძიმე სასჯელისგან, ქვეყნის სიკეთეს და მის თავისუფლებას გადაყოლილი დილარ ივარდავა რომ არ გამომსარჩლებოდა!

საოცარია, როცა თვითონ იყო ნიშანში ამოღებული, ოღონდაც მისადაგი საბაბი ეპოვათ და ჩახმახის გამოწევას არავინ დაამადლიდა, საკუთარ თავს გადააბიჯა, თვითონვე ეახლა თურმე მათ და თავდებში საკუთარი თავი შესთავაზა, ოღონდ მე გავენთავისუფლებინეთ, ვიდრე სასიკვდილო განაჩენს გამომიტანდა ქვეყნის დამაქცევარი, ედუარდ-უხსენებელის მიერ საქართველოს შესეული ბოროტი ძალა!

ეს ამბავი დიდი ხნის შემდეგ გავიგე და მადლობა რომ ვუთხარი, სასტიკად გაბრაზდა:

„ვინ და რატომ გითხრაო ამის შესახებ, სიკეთე მანამდეა მადლმოსილი, ვიდრე მისი ადრესატი გაიგებდეს ვინ ქნა იგიო!“

უამრავჯერ ურჩევიათ: **რას გადაჰყევი საქართველოს თავისუფლებას და ზვიად გამსახურდიას, ყველაფერმა ჩაიარა, ცხოვრებას მიხედეო!**

ოღონდ ერთხელ მაინც წამოსცდენოდა, რომ მან „გეზი იცვალა“, ხელისგულზე დაისვამდა მაშინდელი ხელისუფლება... მაგრამ, ამას ვერ ეღირსა სატანისტების ურდო.

მას შემდეგ, უამრავი შეხვედრა გვქონდა, უამრავი სტატია თუ კრიტიკული წერილი ერთად განგვიხილავს, ყველაფერი დასაშვებად ჩაგვითვლია, გარდა:

„საქართველოს თავისუფლების და მისი ერთიანობის დათმობისა“!

ბატონი დილარი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, 1992 წლის 6 იანვარს დაკარგული, სამშობლოს თავისუფლების და მისი ერთიანობის აღდგენა, აუხდენელ ოცნებად გაჰყვა მარადისობაში!

უფალმა ინებოს, რეალობად გვექციოს ამქვეყნად დარჩენილებს, მისი, დარდად გაყოლილი ოცნება!

ნათელში გამყოფოს უფალმა, უფროსო ძმაო და მეგობარო!

დავით ქობალია

დილარ ივარდავა და გენო კალანდია სტუმრად ზუგდიდში

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის

დილარ ივარდავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

„საერთო გაზეთი“

ს.ჰ.კ. „კათარზისის“ 2021 წლის საქმიანობის პროგრამული ანგარიში

„კათარზისის“ საქმიანობა, როგორც წესი, ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: ეს არის ყოველდღიური, სისტემატიური საქმიანობა და პროექტები, რომლებიც, წესისამებრ, ადამიანთა ფართო ჯგუფებზეა ორიენტირებული და პერიოდული ღონისძიებების ან ერთჯერადი აქციების ხასიათს ატარებს.

ყოველდღიური საქმიანობა

„კათარზისი“, ეს არის სოციალური დახმარების კომპლექსური ცენტრი, სადაც თავმოყრილია ის გადაუდებელი სოციალური დახმარებები, რომლებიც დღეს აქტუალურია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის.

დღეს აქ ფუნქციონირებს: უფასო სასადილო, სილამაზის სალონი, პირველადი სამედიცინო დახმარების კაბინეტი, აფთიაქი, მეორადი ტანსაცმლით დახმარების სამსახური, ტანსაცმლის შეკეთების სამსახური, ინტერნეტ კაფე, სარეაბილიტაციო-სავარჯიშო დარბაზი, კაფე, ბიბლიოთეკა, არტ.თერაპიის ცენტრი, უბინაოდ დარჩენილ ხანდაზმულთა თავშესაფარი, სამლოცველო, კინოდარბაზი, იურიდიული სამსახური, თეატრალური დარბაზი და მასთან არსებული ხანდაზმულთა თეატრი. „კათარზისის“ შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა შეგიძლიათ იხილოთ მის ვებ. გვერდზე, მისამართზე: Catharsis.ge და ფბ გვერდზე „კათარზისი catharsis“.

ორგანიზაციას აქვს თავისი პატარა სასაფლაო მუხათგვერდის ტერიტორიაზე, სადაც იმ ხანდაზმულების დაკრძალვა ხდება, ვინც ბოლო მიწიერ საქმეშიც ღვთის ანაბრად არიან დარჩენილნი.

„კათარზისის“ 2021 წლის პროგრამული ანგარიში კოვიდ პანდემიის გამო ორგანიზაციის საგანგებო მდგომარეობაში მუშაობას ასახავს.

პანდემია და სტრუქტურული ცვლილებები

საქართველოში პანდემიის გამოცხადების შემდგომ საგანგებო მდგომარეობისა თუ სხვადასხვა შეზღუდვების შესაბამისად, ხდებოდა ორგანიზაციის კოლექტივის გადაწყობა, ისე, რომ შეგვენარჩუნებინა პროცესების უწყვეტობა. ადგილზე მომუშავეთათვის მოწყობილია უსაფრთხო გარემო და ორგანიზაცია მუშაობს კოვიდ-რეგულაციის ყველა მოთხოვნის დაცვით. ამასთან, შექმნილია სამუშაო ფბ ჯგუფი, სადაც იდება ინფორმაცია ორგანიზაციაში მიმდინარე ყოველდღიური პროცესების შესახებ, შესრულებული ან დაგეგმილი სამუშაოების აღწერები, დავალებები, წარმოქმნილი პრობლემები და მათი მოგვარების გზები და შედეგები. მთავრობის რეკომენდაციისთანავე, „სახლში დავტოვეთ“ 70 წელს გადაცილებული კოლეგები (8 ადამიანი); თანამშრომლების ნაწილი მუშაობდა ჩვეულ რეჟიმში (ადმინისტრაცია, დარაჯები, მძღოლები, თავშესაფრის პერსონალი, სათნოების ძმები ნაწილობრივ); საჭიროებიდან და სამუშაო მოთხოვნებიდან გამომდინარე გადავეწყვეთ დისტანციურ და ნახევრად დისტანციურ რეჟიმზე. მიუხედავად სამსახურეობრივი თანამდებობისა, თანამშრომლები გადანაწილდნენ: ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფში, გამცემ პუნქტში, ადმინისტრაციულ ნაწილში სამუშაოდ, საბუღალტრო, მომარაგების და სხვა სამსახურების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის. სასადილოს პერსონალი გაყოფილია ორ ჯგუფად, რომლებიც მუშაობენ კვირამონაცვლეობით. სოციალური სამსახურების ხელმძღვანელები, სადაც ეს შესაძლებელი იყო, გადავიდნენ დისტანციურ მომსახურებაზე, რაც სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებს გულისხმობს (სახლის დედა, ექიმი, იურისტი, სავარჯიშო-სარეაბილიტაციო დარბაზის მეთოდისტი). დისტანციურ რეჟიმში მუშაობს ორგანიზაციის მმართველი ორგანო „გამგეობა“, სადაც ხდება ყველა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. აღსანიშნავია, რომ „კათარზისმა“ მოახერხა პანდემიის დაწყებიდან დღემდე ყველა თანამშრომლის შენარჩუნება შესაბამისი ანაზღაურებით.

ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი

პანდემიის რეჟიმზე მუშაობის დაწყებისთანავე ორგანიზაციაში შეიქმნა ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი, რომელიც შედგება ოთხი თანამშრომლისაგან. ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც ევალებათ სისტემატიური კავშირი თითოეულ ხანდაზმულთან; აკონტროლებენ მათ მდგომარეობას, აწვდიან მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, მოუწოდებენ კოვიდ უსაფრთხოების წესების დაცვისაკენ, იკვლევენ მათ საჭიროებებს და შეძლებისდაგვარად, ადმინისტრაციის ჩართულობით, ზრუნავენ გამოვლენილი პრობლემების მოგვარებაზე.

სამადლო სასადილო

„კათარზისის“ უფასო სასადილო 1990 წლიდან ფუნქციონირებს და ხანდაზმულთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამსახურია. ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ ნოყიერ და კალორიულ სადილებს. კვების პროცესი მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში, ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით, მიუხედავად რელიგიური თუ საერო დღესასწაულებისა. სადილი იწყება 12-30 წუთზე და გრძელდება 15-00 საათამდე. მენიუ მრავალფეროვანია, კვირაში ორჯერ გათვალისწინებულია საქონლის, ქათმის ხორცის ან თევზის პროდუქტები. სადილები მზადდება სეზონური პროდუქტების გათვალისწინებით. მენიუს ადგენს სპეციალური კომისია. მისი ძირითადი კერძებია : 1 - სალათი, 2 - წვნიანი, 3 - ბურღულეული სხვადასხვა დანამატით, წვენი (ჩაი, კისელი, კომპოტი, კაკაო ან ლიმონათი) და პური. პერიოდულად ხანდაზმულებს ვთავაზობთ ხილს და ტკბილეულს. სპონსორის შემოწირულობით და ჩვენი ორგანიზაციის თანამონაწილეობით ერთი დღის სადილის თანხა 425 ლარს შეადგენს.

მსოფლიო პანდემიის გამოცხადების შემდგომ, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 70 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის სახლში დარჩენის რეკომენდაციისა და დახურულ სივრცეში ადამიანების თავშეყრის აკრძალვის შედეგად, და იმის გათვალისწინებით, რომ „კათარზისი“ ემსახურება სწორედ ხანდაზმული ასაკისა და მაღალი რისკის ჯგუფის ადამიანებს, მუშაობა შეაჩერა დღის ცენტრმა, თუმცა არ გაუჩერებია მუშაობა სასადილოს არც ერთი დღით - გადავედით მომსახურების საგანგებო რეჟიმზე - მთელი წლის განმავლობაში მზა სადილები გაიცემოდა „ღია ფანჯრის“ პრინციპით. „კათარზისსა“ და კომპანიებს „გლოვოსა“ და „ვიზას“ შორის შეთანხმებების საფუძველზე, მათი მხრიდან სრულიად უსასყიდლოდ დაიწყო და დღემდე გრძელდება ხანდაზმულებისათვის ყოველდღიურად მზა სადილებისა და სამ კვირაში ერთხელ მშრალი პროდუქტების ნობათების ბინაზე მიწოდება. აღსანიშნავია, რომ თუ 2020 წლის დასაწყისში „კათარზისის“ ბენეფიციართა რაოდენობა 340 ადამიანს შეადგენდა, პანდემიის პერიოდში გაიზარდა მათი რაოდენობა და დღეისათვის 470 ხანდაზმულია. მთელი წლის განმავლობაში უფასო სასადილომ გასწია 92000-მდე მომსახურება. სპონსორების მიერ ფინანსდებოდა 1, 2, 3 და ა.შ. დღის სადილები. ისინი სტუმრობდნენ „კათარზისს“ და ესწრებოდნენ სადილების გაცემის პროცესს.

მშრალი პროდუქტებით დახმარება

პანდემიის დაწყებისთანავე გამოიკვეთა, რომ ბენეფიციარებისთვის გარდა მზა სადილისა, უნდა შეგვეთავაზებინა საკვებით უზრუნველყოფის ალტერნატიული ფორმაც, კერძოდ, მშრალი პროდუქტები მათთვის, ვისაც სახლში მომზადების ელემენტარული პირობები მაინც ჰქონდა. ხანდაზმულებთან მომუშავე ჯგუფი ყოველთვიურად იკვლევს საკვების მიწოდების რომელი ფორმაა მისაღები თითოეული ბენეფიციარისათვის იმ კონკრეტულ პერიოდში: ვის მზა სადილი ურჩევნია, ვის - მშრალი პროდუქტები. მშრალი პროდუქტებით დახმარების მსურველთა რიცხვი სხვადასხვა თვეში მერყეობს 200-დან 250 ადამიანამდე. პროდუქტების ნობათი (მიეწოდებათ სამ კვირაში ერთხელ) შედგება 12-14 დასახელების, მათ შორის, საბაზისო პროდუქტისაგან (ზეთი, შაქარი, წიწიბურა, მაკარონი, ბრინჯი, ჰერკულესი, კარაქი, კვერცხი, შედედებული რძე, ძეხვი, თევზის კონსერვი, ტკბილეული, ხილი). გარდა ამისა, პერიოდულად ხანდაზმულს მიეწოდება ჰიგიენის საშუალებებიც: საპონი, შამპუნი, სველი ხელსახოცი. სულ 2021 წლის განმავლობაში გაიცა მშრალი პროდუქტების 5160-ზე მეტი ნობათი.

იურიდიული სამსახური

მუშაობს კვალიფიციური იურისტი, რომელიც კვირაში 3 დღე ემსახურება კათარზისის ბენეფიციარებს. მისი მოვალეობა ძირითადად საკონსულტაციო საქმიანობით შემოიფარგლება. ამასთან, ასწავლის მათ განცხადების შესაგებელის, საჩივრის და სხვათა სწორად დაწერას, ურჩევს რა დოკუმენტები სჭირდებათ ამა თუ იმ დავების, სასამართლო პროცესების დროს. უწევს კონსულტაციებს საკუთარი უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე, რათა არ გახდნენ რაიმე ტიპის ძალადობის ან თაღლითობის მსხვერპლნი. 2021 წლის აპრილიდან იურიდიული სამსახური გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე. ის გასცემს სატელეფონო კონსულტაციებს და საჭიროების მიხედვით ერთვება ხანდაზმულთა სამართლებრივ დავებშიც. მთელი წლის განმავლობაში იურიდიულმა სამსახურმა გასწია 1200-მდე მომსახურება.

სილამაზის სალონი

სალონი ეხმარება ხანდაზმულებს სისუფთავის და წესრიგის შენარჩუნებაში. სპექტაკლების, კონკურსების, სხვა ღონისძიებების დროს მათ სადღესასწაულო ვარცხნილობებს და შესაბამის მაკიაჟს უკეთებენ. სალონი მთელი წლის განმავლობაში ემსახურებოდა ხანდაზმულებს, ქვეყანაში კონკრეტული პერიოდებისათვის განსაზღვრული დაშვებებისა და რეგულაციების შესაბამისად. 2021 წელს აღრიცხულია 900-მდე მომსახურება.

ჰიგიენური მომსახურება

სათნოების სახლში ვერ მოეწყობა აბანო, ამიტომ ხანდაზმულებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მოსაგვარებლად ხელშეკრულება გაფორმებულია ქალაქის აბანოსთან („ნარიყალა“), სადაც ხანდაზმულები სარგებლობენ მომსახურებით, ხოლო „კათარზისი“ იხდის მომსახურების თანხას. 2021 წლის განმავლობაში ამ სფეროში ეტაპობრივი შეზღუდვების გათვალისწინებით 2100-ზე მეტი მომსახურეობა გაეწია ხანდაზმულებს.

ექიმი

2021 წლის განმავლობაში ორგანიზაციის ექიმი ხანდაზმულებთან მუშაობს სატელეფონო კონსულტაციების ფორმით, საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს მათ კონკრეტულ კლინიკებში, ეხმარება სპეციალისტებთან ვიზიტის დაგეგმვაში. ზრუნავს საავადმყოფოში განთავსებულ ბენეფიციარებზე. საჭიროების შემთხვევაში, შემოდის ადმინისტრაციასთან რეკომენდაციით კონკრეტული ხანდაზმულისათვის მედიკამენტით დახმარების თუ სხვა სამედიცინო საჭიროების თაობაზე. ექიმი ყოველდღიურად 5-8 ბენეფიციარს უწევს სატელეფონო კონსულტაციას.

თავშესაფარი

თავშესაფარი ფუნქციონირებს იმ ხანდაზმული ქალბატონებისათვის, ვისაც ბინის პრობლემა აქვს (14 ადგილი). ხანდაზმულები სარგებლობენ კომპლექსის ყველა სერვისით, მათ სამჯერადი კვება და ყოველდღიური საექიმო მომსახურება აქვთ, უტარდებათ სიმღერისა და ცეკვის, არტ. თერაპიის გაკვეთილები, პერიოდულად დადიან ექსკურსიებზე. ბებიებს ხშირად სტუმრობენ სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ ხელოვნების კოლექტივები. პანდემიის გამოცხადებისთანავე თავშესაფარი გადავიდა „კარანტინის“ რეჟიმზე. შეიზღუდა უცხო პირებისა და სტუმრების მიღება. იქ მყოფ ბებიებს ყველა პირობა აქვთ უსაფრთხო და ჯანსაღი ცხოვრებისათვის: ონლაინ გადიან გამამხნევებელ ვარჯიშებს, არტ. თერაპიის სეანსებს; აქვთ შესაძლებლობა ისეირნონ სუფთა ჰაერზე „კათარზისის“ ეზოში.

კინოდარბაზი

ერთ-ერთი სასიამოვნო და საჭირო სამსახურია ხანდაზმულებისათვის. კინოდარბაზი 30 ადამიანზეა გათვლილი. მოხუცების ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდება ან ტელევიზორი არ აქვს სახლში. კინოდარბაზში მათ შეუძლიათ თვალყური ადევნონ ყოველდღიურ პროცესებს, ნახონ მათთვის საინტერესო გადაცემები, აგრეთვე, დაესწრონ სპეციალურ სეანსებს, სადაც ფილმები და გასართობი პროგრამები მათი სურვილითაა შერჩეული და ასეც ფუნქციონირებდა 2020 წლის მარტამდე, მაგრამ პანდემიის გამოცხადებიდანვე კინოდარბაზის სივრცე „კათარზისის“ ყველაზე მთავარ ადგილად იქცა. მან დროებით შეიცვალა ფუნქცია და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით გადაკეთდა ე. წ. „გამცემ პუნქტად“, საიდანაც ხდება მზა სადილების, მშრალი პროდუქტების, აბანოსა და სალონის ბარათების გაცემა, როგორც „გლოვოს“ კურიერების, ისე მოსული ხანდაზმულებისათვის. საჭიროების შემთხვევაში აქედანვე ხდება ხანდაზმულებთან უშუალო კონტაქტი „ღია ფანჯრიდან“ დისტანციისა და წესების სრული დაცვით.

პროექტები

მწოლიარეთა დახმარება

მწოლიარე ხანდაზმულებს თვეში ერთხელ ბინაზე მიეწოდება აუცილებელი, პირველადი საჭიროების მშრალი პროდუქტი (12-14 დასახელების), პირველადი მოხმარების ნივთები. ეს ძირითადად ის ადამიანები არიან, რომლებიც წლების განმავლობაში სარგებლობდნენ დღის ცენტრის მომსახურებით და შემდეგში გადაადგილების უნარი შეეზღუდათ. 2021 წელს მწოლიარე ხანდაზმულების დახმარება სრულფასოვნად გაგრძელდა, 350-ჯერ გაეწია მომსახურება.

9 მაისი

„კათარზისი“ ყოველი წლის 9 მაისს ულოცავს მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს: იმართება საკონცერტო ღონისძიებები, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც ხანდაზმულთა, ისე მოწვეული სასიმღერო თუ საცეკვაო გუნდები. პანდემიის გათვალისწინებით, 2021 წლის 9 მაისი ჩვენს ბენეფიციარ 4 ვეტერანს ბინაზე ვეწვიეთ საჩუქრებით: გადავეცით ფულადი დახმარებები, კვების პროდუქტებისა და პირველადი მედიკამენტების პაკეტები.

ალტერნატიული ჯარი

2007 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული ხელშეკრულების საფუძველზე „კათარზისში“ ალტერნატიულ სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის ათეულობით ახალგაზრდა (ძირითადად რელიგიური მოსაზრებების გამო). სამხედრო მოსამსახურეები (სათნოების ძმები) მონაწილეობენ ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობასა (მომსახურება სასადილოსა და კაფეში, მწოლიარეთათვის სადილების მიტანა, ინტერნეტ-კაფე, სავარჯიშო-სარეაბილიტაციო დარბაზი, გარდერობი) და პროექტებში („სადილი ყველას“, „უსახლკაროთა დახმარება“და სხვა). სათნოების ძმები (პირები, რომლებიც ალტერნატიულ ჯარს გადიან) მთელი პანდემიის პერიოდში აქტიურად იყვნენ ჩართული ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც აქტუალური იყო კონკრეტული პერიოდისათვის - მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ ბებია-ბაბუებთან ბინაზე მიჰქონდათ მზა სადილები და მშრალი პროდუქტები, ისინი ასრულებდნენ ნებისმიერი ტიპის ფიზიკურ სამუშაოებს, მონაწილეობას იღებდნენ შეძენილი და შემოწირული პროდუქტების დატვირთვა-დაცლასა და დაფასოებაში და ა.შ. 2021 წლის განმავლობაში სამსახურს გადიოდა 18 წვევამდელი.

მოხალისეები

მოხალისეობის ინსტიტუტს პოსტსაბჭოთა საქართველოში სავარაუდოდ „კათარზისში“ ჩაეყარა საფუძველი. ჯერ კიდევ 1990 წელს, როდესაც „კათარზისი“ იწყებდა საქმიანობას, მოხალისეები ქაშუეთის ეკლესიასთან იკრიბებოდნენ და მარტოხელა ხანდაზმულებისათვის საკვები და ტანსაცმელი მიჰქონდათ. მას შემდეგ სხვადასხვა თაობები ჩართული არიან „კათარზისის“ ყოველდღიურ საქმიანობასა და პროექტებში. 2021 წელს პანდემიის დაწყებიდან მოხალისეები გვეხმარებოდნენ მზა სადილებისა და მშრალი პროდუქტების მიწოდებაში იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა საცხოვრებელ მისამართებს ვერ ფარავს კომპანია „გლოვო“.

ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობა, რომელსაც ასოციაცია „კათარზისი“ აწარმოებს, არის ფართების გაქირავება. დღეისათვის იჯარით გაცემული გვაქვს 98 კვ. მ. ფართი, რომლიდანაც 2021 წლის შემოსავალმა შეადგინა 56454,07 ლარი.

2021 წლის საბუღალტრო დოკუმენტაცია: პროგრამული ანგარიში გაწეული საქმიანობისა და მიღებული შემოსავლების შესახებ, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებული ფინანსური დოკუმენტები (ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში) განთავსებულია „საერთო გაზეთში“ (N12, 2022 წ.).

ასოციაციის პრეზიდენტი
ზაურ ალადაშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ შევამოწმეთ სჰკ კათარზისის (კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშები, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგება-ზარალის და სხვა ჯამური შემოსავლის ანგარიშს, კაპიტალის ცვლილების ანგარიშს და ანგარიშს ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის („ფინანსური ანგარიშები“) შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშები მომზადებული იქნა საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების („ფასს”-ების) შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სჰკ კათარზისის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“-ები) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;

• მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;

• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის;

• ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისათვის; და

• ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - ‘აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე’ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ სჰკ “კათარზისი“-ს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფასს - ის შესაბამისად და აგრეთვე შიდა კონტროლზე, როგორც მენეჯმენტი დაადგენს საჭიროდ, რათა შესაძლებელი იყოს ფინანსური ანგარიშების მომზადება, სადაც არ იქნება მატერიალური ცდომილება შეცდომის ან თაღლითობის გამო.

ფინანსური ანგარიშის მომზადებისას, მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე მისი ფუნქციონირების შეუწყვეტლად, ინფორმაციის გახსნაზე, როდესაც მისაღებია, ფუნქციონირების უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და საქმიანობების განხორციელების უწყვეტობის საფუძველზე ანგარიშგების გამოყენებაზე, თუ მენეჯმენტი მიზნად არ ისახავს კომპანიის ლიკვიდაციას ან არ წყვეტს ფუნქციონირებას, ან არ გააჩნია რაიმე შესაბამისი ალტერნატივა.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტის პასუხისმგებლობები ფინანსური ანგარიშების აუდიტისთვის

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშები მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ **ISA**-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, როდესაც იგი არსებობს, ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიჩნეულია, როგორც არსებითი, თუ, ერთობლივად ან ცალ-ცალკე, მათგან გონივრულად მოსალოდნელია, რომ გავლენა იქონიონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე, რაც მიღებულია ამ ფინანსურ ანგარიშებზე დაყრდნობით, როგორც **ISA**-ს თანახმად ჩატარებული აუდიტის ნაწილი, ჩვენ ვახორციელებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის საშუალებით, ჩვენ აგრეთვე:

ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, ვადგენთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს ამ რისკების საპასუხოდ და გავცემთ აუდიტის დასკვნას, რაც საკმარისია და შესაბამისია, იყოს ჩვენი მოსაზრების საფუძველი. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ-აღმოჩენის რისკი მაღალია, ვიდრე შეცდომის გამო წარმოშობილი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, სიყალბეს, მიზანმიმართულ გამოტოვებებს, მცდარ ინფორმაციას ან შიდა კონტროლის უკუგდებას.

შიდა კონტროლის მიღება და გაცნობიერება, რომელიც აუდიტის შესაბამისია, რათა ჩამოყალიბდეს აუდიტის პროცედურები, რომლებიც შესაბამისია გარემოებებთან,

მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ მოსაზრების გამოხატვის მიზნით.

გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის შესაბამისობის და საბუღალტრო გაანგარიშებების და მენეჯმენტის მიერ განხორციელებული მასთან დაკავშირებული აღმოჩენების გონივრულობის შეფასება.

დასკვნის გაკეთება მენეჯმენტის მიერ ანგარიშგებისას ფუნქციონირობის უწყვეტობის საფუძველის გამოყენების შესაბამისობის შესახებ და, მიღებული აუდიტის მტკიცებულებების საფუძველზე, არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინოს კომპანის ფუნქციონირების უწყვეტობის უნარის შესახებ. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი უზუსტობა, ჩვენს აუდიტის დასკვნაში ყურადღება უნდა მივაქციოთ ფინანსურ ანგარიშებში მოცემულ მასთან გამოვლინებებს, ან, თუ აღნიშნული გამოვლინებები არის არადეკვატური, შევასწოროთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტის მტკიცებულებებზე, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტის დასკვნის გაცემის თარიღამდე. თუმცა, მომავალმა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის ფუნქციონირების უწყვეტობის შეწყვეტა.

ფინანსური ანგარიშების მთლიანი წარმოდგენის, სტრუქტურის და შინაარსის შეფასება, აღმოჩენების ჩათვლით, და წარმოადგენს თუ არა ფინანსური ანგარიშები საფუძვლად დადებულ გარიგებებს იმგვარად, რომ დაცული იყოს კეთილსინდისიერება.

ჩვენ დავუკავშირდით მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, აუდიტის დადგენილი ფარგლების და დროის განრიგის და აუდიტის მნიშვნელოვანი დასკვნების შესახებ, შიდა კონტროლის მნიშვნელოვანი ნაკლებობის ჩათვლით, რაც ჩვენ აუდიტის განმავლობაში აღმოვაჩინეთ. მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ჩვენ აგრეთვე მივაწოდეთ განცხადება, რომ ვიცავთ დამოუკიდებლობის შესახებ ეთიკის მოთხოვნებს და ვაცნობეთ ყველა კავშირის და სხვა საკითხების შესახებ, რამაც შესაძლოა გონივრულად დააბრკოლოს და კავშირი ჰქონდეს ჩვენს დამოუკიდებლობასთან, და აგრეთვე ვაცნობეთ, სადაც საჭიროა, მასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია **მალხაზ უჯმაჯურიძე** (სარეგისტრაციო ნომერი სარას-ა-965206).

„შპს იგალ“-ის სახელით.
თბილისი, საქართველო
24 მარტი, 2022

სჰკ „კათარზისის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (2021 წლის 31 დეკემბერი)

	შენიშვნ.	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება	6	128,478	151,170
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	6	219	249
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,829	10,115
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		130,526	161,534
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	30,933	45,170
წინასწარ გაწეული ხარჯები		-	-
მოკლევადიანი მოთხოვნები	8	4,949	6,250
გაცემული ავანსები		641	575
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	9	412,487	305,245
სხვა მიმდინარე აქტივები		1,206	39
მთლიანი მიმდინარე აქტივები		450,216	357,279
სულ აქტივები		580,742	518,813
ვალდებულება და კაპიტალი			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სხვა გრძელვადიანი ვალდებულება		-	-
მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	10	3,063	3,133
შრომის ანაზღაურება		4,523	2,950
საგადასახადო ვალდებულებები		-	1,962
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		7,586	8,045
მთლიანი ვალდებულებები		7,586	8,045
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		30,391	30,391
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		62,388	156,124
რეზერვები და დაფინანსება		460,652	304,528
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი		19,725	19,725
მთლიანი კაპიტალი		573,156	510,768
მთლიანი ვალდებულება და კაპიტალი		580,742	518,813

მოგება-ზარალის და სხვა შემოსავლების ანგარიშგება (2021 წლის 31 დეკემბერი)

	შენიშვნ.	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
საქველმოქმედო შემოსავლები	11	1,054,198	1,054,340
ზოგადი და ადმინისტრაციული დანახარჯები	13	(385,745)	(319,743)
ცვეთის ხარჯი		(25,418)	(25,642)
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12	(580,825)	(584,753)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		62,210	124,202
კურსთა შორის სხვაობა (შემოსავალი)/ხარჯი		(781)	3,320
საპროცენტო ხარჯი		-	-
ფინანსური ხარჯი		(781)	3,320
საპროცენტო შემოსავალი		334	88
ფინანსური შემოსავალი		-	-
შედეგი ფინანსური საქმიანობიდან		(447)	3,408
სხვა შემოსავალი		23,365	29,678
სხვა ხარჯები		(22,740)	(1,164)
მოგება/ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		62,388	156,124
მოგების გადასახადი		-	-
გაერთიანებული მოგება(ზარალი) საანგარიშგებო წლისთვის		62,388	156,124

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (2021 წლის 31 დეკემბერი)

	საწესდებო კაპიტალი	საანგარიშგებო პერიოდის მოგება ზარალი	რეზერვები და დაფინანსება	ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ
31 დეკემბერი, 2019	30,391	-	304,528	19,725	354,644
მოგება წლის განმავლობაში	-	156,124	-	-	156,124
რეზერვები და დაფინანსება	-	(156,124)	156,124	-	-
31 დეკემბერი, 2020	30,391	-	460,652	19,725	510,768
მოგება წლის განმავლობაში	-	62,388	-	-	62,388
რეზერვები და დაფინანსება	-	(62,388)	62,388	-	-
31 დეკემბერი, 2021	30,391	-	523,040	19,725	573,156

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (2021 წლის 31 დეკემბერი)

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები	948,800	919,015
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(216,967)	(603,421)
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(533,638)	(76,352)
გადახდილი გადასახადები	(88,163)	(56,938)
სხვა	(2)	(234)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	110,030	182,070
საინვესტიციო საქმიანობები		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(2,788)	(8,315)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		
მიღებული საპროცევნტო შემოსავალი	-	
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,788)	(8,315)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	-	-
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	107,242	173,755
ფული და ფულის ექვივალტები პერიოდის დასაწყისში	305,245	131,490
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	412,487	305,245

ლეგენდარული ქალბატონები, რომელთა გამოც ომები დაიწყო

ზოგიერთი ამ ქალებს კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი მოვლენების მიზეზად მიიჩნევს, ზოგი კი ფიქრობს, რომ ისინი დახვეწილი ინტრიგების მსხვერპლნი აღმოჩნდნენ.

ამიტომ ძალიან ძნელია მათი როლის განსაზღვრა იმ უბედურებებში, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანას დაატყდა თავს, მაგრამ დანაშაულის აჩრდილი მუდამ თან სდევთ მათ...

დედოფალი ბრუნჰილდა. სწორედ მას მიიჩნევდნენ დამნაშავედ ავსტრაზიასა და ნეისტრიას შორის ომის გაჩაღებაში მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილეში ამის მიზეზი ორი ქალი იყო. დედოფალი ბრუნჰილდა ავსტრაზიის მეფის სიგივერტის ცოლი იყო. მისი და ჰალსვინტა ქმარმა, ნეისტრიის მმართველმა ჰილპერიკმა მოკლა, რომელიც საყვარელმა წააქეზა. გაშმაგებულმა ბრუნჰილდამ დახმარებისთვის სიგიბერტს მიმართა, რათა მას დაებრუნებინა მისი დის მზითევი — რამდენიმე მდიდარი ქალაქი. ომის მსვლელობისას სიგიბერტი მოკლეს. დადიოდა ჭორები, რომ მის მკვლელობაშიც ჰილპერიკის საყვარელი იყო დამნაშავე. ბრუნჰილდა ტყვედ ჩავარდა, მაგრამ გამოიქცა და კვლავ ტახტს დაეპატრონა. 613 წლისთვის ჰილპერიკის ვაჟმა ბრუნჰილდა სახელმწიფოებს შორის ძმათამკვლელი ომის გაჩაღებაში დაადანაშაულა და სიკვდილით დასაჯა.

დედოფალი მარგო. დედოფალი მარგარიტა ნავარელი ისტორიაში შევიდა, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ქალბატონი, რომლის გამო ათობით საყვარელი დაიღუპა და რომლის გამოც დაუსრულებელი ომები მიმდინარეობდა. ის ახალგაზრდობიდანვე იშვიათი სილამაზით, არაჩვეულებრივი ჭკუითა და დამოუკიდებელი ხასიათით გამოირჩეოდა. ვალუას გვარის წარმომადგენელმა ბრწყინვალე განათლება მიიღო. 16 წლის ასაკში მან რომანი გააჩაღა ჰერცოგ გიზთან — ასაკოვან და გამოცდილ მამაკაცთან. თუმცა მისი საქმრო, მოგვიანებით კი ქმარი გახდა ჰუგენოტების წინამძღოლი, ნავარის მეფე ჰენრიხ ბურბონი. ასეთი იყო ოჯახის ნება, რომელსაც საფრანგეთში მშვიდობის დამყარება უნდოდა. მათი ქორწილი ბართლომეს ღამით დასრულდა, როცა 30 ათასზე მეტი ჰუგენოტი დაიღუპა. მარგარიტამ ქმარი პარიზიდან გააპარა და სიკვდილს გადაარჩინა. უბედურება მას თან სდევდა, თუმცა ინტიმური ურთიერთობებით უკვე ასაკში შესული მარგო მაინც ყველას აოცებდა — მის გარშემო ათობით საყვარელი იყრიდა თავს...

ამალასუნტა. 526 წელს მეფე თეოდორიხის ასულს წილად ხვდა განსაკუთრებული პატივი — ემართა ოსტგოთების სამეფო, როგორც რეგენტს (მისი ვაჟი ატალარიხი 8 წლის იყო). ამალასუნტა არამარტო ძალიან ლამაზი, არამედ ჭკვიანი და გამჭრიახიც იყო. ის განათლებულ რომაელთა დარად ზრდიდა ვაჟს. მის მიმართ პატივისცემით თავად ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანი იყო გამსჭვალული. ის აღფრთოვანებული იყო ქალის სიბრძნით და მისი დიპლომატიური უნარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ატალარიხი ველურ ოსტგოთად რჩებოდა. გაუთავებელი დროსტარების შედეგად ტახტის მემკვიდრე გარდაიცვალა. 534 წელს ამალასუნტა ძალაუფლების შესანარჩუნებლად თავის ბიძაშვილს თეოდაგადს შეეკრა, თუმცა ბოლომდე არ ენდობოდა მას. მისი ეჭვები გამართლდა — ამალასუნტა დაატყვევეს. იუსტინიანი თეოდაგადს სთხოვდა ქალის გათავისუფლებას, მაგრამ ამაოდ. ქალი სასტიკი წამებით მოკლეს. განრისხებულმა იუსტინიანმა არ მოითმინა ეს ველური საქციელი და 535 წელს ოსტგოთებს ომი გამოუცხადა, რომელიც 19 წელი გაგრძელდა და ქვეყანისთვის ცუდის მეტი არაფერი მოუტანია.

ლა კავა. ამ ულამაზესმა ქალმა დაიპყრო ვესტგოთების მეფის როდრიგოს გული. ქალი უარყოფდა მის ყურადღებას, რადგან არ მოსწონდა. როდრიგომ შეიტყუა ქალი და გააუპატიურა. ლა კავამ ყველაფერი მამას, გრაფ ხულიანოს უამბო, რომელიც პირენეის უმნიშვნელოვანესი ციხესიმაგრის სეუტას კომენდანტი იყო. ეს ციხესიმაგრე ნახევარკუნძულზე არაბების მთავარი ხელისშემშლელი იყო. ხულიანომ ფიცი დადო, რომ მეფეს სამაგიეროს გადაუხდიდა. მას მალევე მიეცა ამის შესაძლებლობა. ქვეყანაში არაბების 70-ათასიანი არმია შემოიჭრა. გრაფმა პატრიოტულ გრძნობებზე უარი თქვა და არაბებს ციხესიმაგრის კარი გაუღო. ლა კავას გამო მამამ შური იძია. მეფე როდრიგო ხმლით აკუწეს. არაბებმა კორდოვას საამირო შექმნეს.

ელეონორა

დედოფალი ელენე. ჰომეროსს თუ დავუჯერებთ, ბერძნებსა და ტროელებს შორის ომი სპარტის მეფის მენელაის ცოლის, მომხიბვლელი ელენეს გამო დაიწყო. ელენე მწყემსმა და მომღერალმა პარისმა იმდენად გაიტაცა, რომ ქალმა სასახლის კარის წესები დაივიწყა. ვნებიანი სიყვარულის გამო მათ სპარტა დატოვეს. მენელაის ძვირფასეულობით დატვირთული ხომალდით ისინი ტროაში გაიქცნენ. განრისხებულმა მენელაიმ მოკავშირეების ძებნა დაიწყო, რათა შური ეძია. ჰერამ, ცოლქმრული ერთგულების დამცველმა, მოუწოდა საბერძნეთის გმირებს, მენელაის მხარე დაეჭირათ და დამნაშავეები დაესაჯათ. შედეგად, ბერძნებსა და ტროელებს შორის გაჩაღებულმა მრავალწლიანმა ომმა ათასობით სიცოცხლე შეიწირა...

ელეონორა — აკვიტანიის ჰერცოგინია. დაწყევლილი ასწლიანი ომი ევროპის ისტორიის ბნელი პერიოდია. მის მიზეზად აკვიტანიის ჰერცოგის ვილჰელმის ულამაზესი ქალთმიანი ასული მიიჩნევა. უკვე 15 წლის ასაკში მან მზითევში მიიღო აკვიტანია და პუატუს საგრაფო, რომელიც მომავალი ომის დაწყების საბაბი გახდა. ანდერძის თანახმად, რომელიც მისმა მამამ და ძმამ შეადგინეს, ამ მიწების მფლობელი ელეონორას ქმარი უნდა გამხდარიყო, ამიტომ მისმა მეურვემ მეფე ლუროვიკ VI-მ გადაწყვიტა, ელეონორა თავისი ვაჟისთვის შეერთო და ეს მოახერხა კიდეც. მაგრამ მეფე ლუდოვიკო VII ძალიან ღვთისმოსავი იყო და დროის უდიდეს ნაწილს კათოლიკე მღვდლებთან ატარებდა.

ელეონორას სილამაზის, მჩქეფარე ტემპერამენტისა და მახვილგონიერების გამო ნებისმიერი მამაკაცი მზად იყო, მისთვის სიცოცხლეც კი გაეწირა. მეფეს ეს არ მოსწონდა, მუდმივი სკანდალების შედეგად წყვილმა გაყრა გადაწყვიტა. 1152 წელს მათი ქორწინება დასრულდა.

30 წლის ელეონორა 18 წლის ანჟუს პრინცს, მომავალ მეფე ჰენრიხ II-ს შეუყვარდა. ისინი დაქორწინდნენ და ქალმა მზითევი — აკვიტანია და სხვა მიწები თან წაიღო. განაწყენებულმა ფრანგებმა ელეონორას ეს გამოხდომა არ აპატიეს და ასწლიანი ომისთვის მზადება დაიწყეს...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

შესანიშნავ მამულიშვილს, უღალატო მეგობარს, ჩვენი რედაქციის მხარდამჭერსა და ერთგულ მკითხველს, ბატონ **დავით ინჯიას** ვულოცავთ დაბადების დღეს.

დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, წარმატებებს ვუსურვებთ ოჯახთან და ყველა კეთილისმსურველთან ერთად.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კვულიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს
„ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99